საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდევული სიფაქვაა, ფაქტებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 29-30 ნოემბერი. 2021 წ. №206 (9325) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

გეშინოდეთ ხალხის, მაფუჭარა „მოშიმშილე“ ნაცებო!

ცრუპენტელა სააკაშვილის „გათავისუფლების კომიტეტს“ ოპოზიციამ უარი სტკიცა

სიმართლეს ნაციც ვერ ემალება!

არის თუ არა ექსპრეზიდენტის გათავისუფლება საერთო ოპოზიციური ინტერესი?

სააკაშვილის შეთავაზებას, რომ მისი გათავისუფლებისთვის თავისუფლების საზოგადოებრივი კომიტეტი შეიქმნას, ოპოზიცია არცთუ აღფრთოვანებული შეხვდა. როგორც ჩანს, ის რაც ახლა „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი მოთხოვნაა, პარტიების უმრავლესობის დღის წესრიგში არ დგას. ყოფილ სახელისუფლებო ძალასთან კოალიციაში მყოფი ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ ექსპრეზიდენტის გათავისუფლებას დღეს მხოლოდ მისი თანაგუნდელები და მხარდამჭერები ითხოვენ. ფიქრობენ, რომ ეს გახდა იმ ინიციატივის მიზეზიც, რომელიც თავად მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი გათავისუფლებისთვის წამოაყენა.

ამის პარალელურად კი სააკაშვილი ოპოზიციას აქტიური ბრძოლისკენ მოუწოდებს და გადამწყვეტ დროდ 3 კვირას ასახელებს. ის მიიჩნევს, რომ თუკი ქუჩაში მოსახლეობა მასობრივად გამოვა, პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** იძულებული გახდება, რომ შეიწყალოს.

იხ. 2 გვ.

მოსკოვიდან უკრაინაში გამოიგზავნა დანომრილი ფული, რომელიც სააკაშვილის მხარდამჭერებს გადაეცა

5

შეშლილი პატიმრის ვნებანი...

იმისთვის, რომ მისი ჯანმრთელობა არ გაუარესდეს, არ მოხდეს სპერმოტოქსიკოზი, ამიტომ აუცილებელია მის საკანში ღამით პერიოდულად რჩებოდეს თუნდაც უკრაინელი დეპუტატი იასკო!

თუ ჩვენ არ ვიქნებით, ბიუჯეტიც ნუ დამტკიცებულა!

4

ნაცხროვამ დიდი გზა გაანვლო, რომ მირდატ ქამადაძის და ანა წითლიძის მსგავსი ახალი მანქურთები შეესია პატიოსანი ხალხისთვის!

ელენე ხოშტარიამ სააკაშვილს ყველაფერში აჯობა!

მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, მან კონკრეტული მოთხოვნა დააყენა, მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, სრული შიმშილობის ფორმით იშიმშილა, მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, პოლიტიკური პროცესების მიმართ პრინციპულობასთან ერთად, თანმიმდევრული აღმოჩნდა, მიხეილ სააკაშვილის გარემოცვისგან განსხვავებით, ხელისუფლების სიტყვას ენდო და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების (სააკაშვილის გადაყვანის) პროცესის აღსრულებას არ დალოდებია, შიმშილობა ისე შეწყვიტა. როგორც ქალმა, როგორც დედამ, როგორც პოლიტიკურმა ლიდერმა გაბედულებითა და პრინციპულობით ბევრ კაც დეპუტატსა და თავად მიხეილ სააკაშვილს აჯობა. „ჭირვეული ბავშვივით“ ისტერიკაში ჩავარდნილი მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, მან თქვა და იშიმშილა, მან სააკაშვილის გადაყვანის პირობა მიიღო და შიმშილობა შეწყვიტა, შიმშილობის შემდგომი მკურნალობის პროცესიც ზედმეტი პოლიტიკური სპეკულაციების გარეშე მიდის. კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩემი და მისი პოლიტიკური გემოვნების განსხვავებულობის მიუხედავად, ფაქტია, ელენე ხოშტარიამ მიხეილ სააკაშვილის მიერ „აშლილობითი“ პოლიტიკა მეტ-ნაკლებად დინამიკურ რელსებზე დააბრუნა. მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილს ნიკანორ მელია, ნიკა გვარამია და მისი გარემოცვა სასიკვდილოდ იმეტებს, ქალის, ელენე ხოშტარიას ქმედება ნამდვილად დასაფასებელია.

თამთა მეგრელიშვილი

ცრუპენტელა სააკაშვილის „გათავისუფლების კომიტეტს“ ოპოზიციამ უარი სტკიცა

(პირველი გვერდიდან)

ოპონენტების განცხადებები მმართველი პარტიისთვის იმის მანიშნებელია, რომ ოპოზიცია საკუთარ მიზნებსა და სტრატეგიაზე ვერ ყალიბდება. „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ სააკაშვილის გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია, რასაც „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე პროცესებს უკავშირებენ. სახელისუფლო გუნდი პარტიის შიდა ჯგუფების დაპირისპირებაზე საუბრობს და თვლის, რომ ოპოზიციის მიზანი პროცესების რადიკალიზაციაა.

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე **ხათუნა სამნიძე** ფიქრობს, რომ სააკაშვილის გათავისუფლება ოპოზიციის დიდი ნაწილის დღის წესრიგი არ არის და საინიციატივო ჯგუფის შექმნის წამოწყებასაც სწორედ ამას უკავშირებს.

„თავისუფლება მიშას!“ კამპანია, არის მოთხოვნა, რომელიც უკავშირდება მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერებს, „ნაციონალურ მოძრაობას“ და ეს არ არის ოპოზიციური პარტიების უმრავლესობის დღის წესრიგი. ვფიქრობ, რომ ეს დაინახა მესამე პრეზიდენტმა და ის მიიჩნევს, რომ ეს არის ცალკე გასაკეთებელი კამპანია. დღევანდელი პოლიტიკური დღის წესრიგი არის ის, რომ შევძლოთ და მოვიპოვოთ რიგგარეშე არჩევნები“, — აცხადებს ხათუნა სამნიძე.

ანალიტიკოსი **პაატა ზაქარეიშვილი** ფიქრობს, რომ სააკაშვილი, როგორც ყოველთვის, რეალობას არის მოწყვეტილი და საუბრობს იმაზე, რაც პრაქტიკაში არასდროს გამოვა. სააკაშვილს მუდმივად მითები აწუხებს — „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციის ლიდერი იყოს. ამიტომაც კომიტეტით არარსებული ოპოზიციის შეკვრა უნდა.

„ენმ-ის გვერდით დანარჩენი ოპოზიციის ყოფნა იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის აგებენ. ოპოზიციამ 2020 წელს ნაციონალებთან ალიანსის შემდეგ ძალიან დიდი დარტყმა მიიღო. ნებისმიერი ოპოზიციური პარტიის მათთან მოხვედრა შავ ხვრელთან მოხვედრას უდრის — ისინი, როგორც პარტიები იკარგებიან. საზოგადოებას მათი არსებობა მაშინვე აღარ აინტერესებს. ამით ენმ-ს მართალია არაფერი ემართება, მაგრამ შეხედეთ, მაგალითად, „ლელოს“ რა დაემართა. რეიტინგი საერთოდ დაკარგა.

„ნაცმოძრაობა“ მხოლოდ ერთადერთ მთავარ ოპოზიციურ პარტიად რჩება და ყველა მასთან მიახლოებული პარტია ამომრჩეველს კარგავს. ამ პარტიის გრავიტაცია მოწამლულია, ამიტომ ეს კომიტეტები და რაღაცა ერთობა, ყველაფერი იმისთვის არის, რომ ოპოზიციური პარტიები როგორმე შეიტყუონ. სააკაშვილს უნდა მოსახლეობას უსაგნო და უსაფუძვლო განცდა შეუქმნას, თითქოს ოპოზიცია ერთიანია. მოსახლეობის დიდ ნაწილს „ნაციონალური მოძრაობა“ არ უყვარს. კი ბატონო, მას ჰყავს საკუთარი ელექტორატი, რომელსაც აკლდება და არაფერი ემატება“, — ამბობს ზაქარეიშვილი.

რაც შეეხება გადამწყვეტ სამ კვირას და ხალხის ქუჩაში სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით გამოსვლას, რომელიც შემდეგ პრეზიდენტ ზურაბიშვილს მის შეწყალებას აიძულებს, ზაქარეიშვილი ამბობს, რომ სააკაშვილი აქაც ხიბლშია და დღემდე ვერ ათვიცნობიერებს ხალხი მასზე როგორი ნაწყენი და გაბრაზებულია. ბოლო დღეების განმავლობაში „ოცნების“ მიერ დაშვებულმა შეცდომებმა სააკაშვილის არა როგორც პოლიტიკოსის, არამედ როგორც პატიმრის მიმართ სენტიმენტები გააჩინა. სხვა მხრივ მის უკან დაბრუნებას საზოგადოება არ დაუშვებს.

ოთხ კვირაში მოვა ახალი წელი, მერე? დაისვენებს ხალხი და ეს აჟიოტაჟიც ჩაწყნარდება. პრეზიდენტ ზურაბიშვილს არავინ არსად მიუვარდება, რომ სააკაშვილი შეიწყალოს. გადამწყვეტი იყო ადგილობრივ არჩევნებამდე, რომელიც ენმ-მა და ოპოზიციამ ჩააფლავა. ადგილობრივ არჩევნებზე მელიამ მერობაზე მხოლოდ მეორე ტურში დაიწყო საუბარი. მანამდე პუტინზე, ივანიშვილზე და რუსეთზე საუბრობდა. თუმცა მელიას აქციებზე ხალხი რატომ არ გამოგყავსო, ვერ მოსთხოვენ. ადამიანი მკვდარი ორგანიზმის გაცოცხლებას ცდილობს, რისი შესაძლებლობაც არ არსებობს. არჩევნების წინ იმიტომ გამოვიდნენ, რომ მობილიზება მოხდა და ამას ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა. შესაძლოა, ასე წელიწადში ერთხელ ან ორჯერ გამოიყვანონ. ამიტომ მელიას ვერავინ ვერ დაადანაშაულებს იმაში, რომ ნაციონალები ქვეყანაში პოპულარულები არ არიან. ეს პარტია პოპულარული საზოგადოების ნაწილში თუ არის, სააკაშვილის დამსახურებაა, ხოლო დიდ ნაწილში პოპულარული თუ არ არის, ესეც სააკაშვილის ცრუპენტელობის და ჩადენილი დანაშაულების დამსახურებაა“...

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** ფიქრობს, რომ მიხეილ სააკაშვილის გამოსახსნელად ახალ შტაბს ქმნიან, რომელიც პოლიტიკური დეგრადაციის გამოხატულებაა. ნაციონალები უკვე 8 წელია ხელისუფლების ძალით ხელში ჩაგდებას ცდილობენ და არ გამოსდით. სააკაშვილის ე.წ. კომიტეტის შექმნაც ამ გზის გაგრძელებაა, რაც არ გამოუვა.

„ყველა იმის მომსწრენი ვართ, რომ ეს პარტია ქვეყნის აღმშენებლობით და განვითარებით არ არის დაინტერესებული. მათი მთავარი მიზანია, როგორმე ხელისუფლება მიიტაცონ. ამას როგორც იქნა ამ გაერთიანებულ ოპოზიციაში მყოფი პარტიები და პოლიტიკოსები მიხვდნენ. მაგალითად, ხათუნა სამნიძემ სააკაშვილს და მის გარემოცვას შეუთვალა, რომ ისინი პოლიტიკური დღის წესრიგიდან გაათავისუფლოს. ძალიან ბევრი პოლიტიკოსი, იმედია, მიხვდება, რომ სააკაშვილთან მათი ალიანსი და კავშირი, როგორც ქვეყნისთვის, ასევე მათთვისაც დამღუპველია. იგივე მიდგომა ენმ-ის მოქმედ თავმჯდომარე ნიკა მელიას სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამ დაუწუნა.

გამოდის, რომ ყველაზე ადეკვატური ადამიანი ამ დომხალში სააკაშვილის უფროსი ვაჟი ედუარდ სააკაშვილია. ის კარგად მიხვდა, რომ მამამისის გარშემო ძალიან შავი ღრუბელია მოქცეული. ადამიანებს, რომლებიც მის გარშემო არიან შეკრებილები, სააკაშვილის სიკვდილი საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის უნდათ...

თქვენ წარმოიდგინეთ, ოპოზიციის კი არა, ერთი პარტიის წიაღი როგორი გაუგებრობაა. ამ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის ერთობის დონეზეც როგორი აზრთა სხვადასხვაობაა. არადა გამოდის, რომ ყველაზე ადეკვატური ადამიანი ამ დომხალში სააკაშვილის უფროსი ვაჟი ედუარდ სააკაშვილია. ის კარგად მიხვდა, რომ მამამისის გარშემო ძალიან შავი ღრუბელია მოქცეული. ადამიანებს, რომლებიც მის გარშემო არიან შეკრებილები, სააკაშვილის სიკვდილი საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის უნდათ“, — ამბობს ქართველიშვილი.

მისივე თქმით, სალომე ზურაბიშვილზე გავლენას „ოცნებაც“ კი ვერ ახდენს, რადგანაც საკმაოდ პრინციპული ადამიანია და მისი რაიმეზე დათანხმება ასე ადვილი არ არის. ამიტომ თუკი სააკაშვილს მართლმსაჯულებისგან თავის არიდება ზურაბიშვილის დახმარებით უნდა, ეს არ გამოუვა.

ლიკა ბერიკაშვილი

ედიშერ გვენეტაძე: „ტვ1“-ის შხამით სავსე საინფორმაციო ღრუ...

ექსპერტი **ედიშერ გვენეტაძე** Facebook-ზე ეხმიანება ტელეკომპანია „პირველის“ სიუჟეტს, სადაც პროკურატურის შესახებ ცრუ ინფორმაციები გავრცელდა.

„პირადად ჩემთვის, ყველა ის ადამიანი ვინც ხმა მისცა, მხარს უჭერს ბელადს, „ნაცმოძრაობას“ და ცდილობს მათ გათეთრებას, ყველა მეგისა ქარდავაა! ამ სუბიექტთა რიგებში პირველ ადგილს იკავებს „ტვ1“-ის დეზინფორმაციული მანქანა, საიდანაც 24 საათის განმავლობაში ცრუ და მატყუარა კაბიანი თუ შარვლიანი მეგის ქარდავები ისვრიან შხამებს! ტყუილების იდეოლოგიური შემკვეთები, ნოდარ მელაძის მეთაურობით, უკვე რამდენი ხანია ცდილობენ სიცრუესა და სიყალბეში აცხოვრონ ადამიანები! ამ მიზნით, ავრცელებენ ათასგვარ მოგონილ სიბინძურეს! განსაკუთრებით კი ამ დღეებში, როდესაც მოახლოვდა მათი დიარეიანი და არაადეკვატურად მშარდავი (თავად თქვეს) ბელადის, იგივე მთავარი სახელმწიფო დამნაშავის გასამართლების პროცესი! შეტევას ნოდარის კანტორა „ტვ1“, მიზანმიმართულად ახორციელებს ბრალდების მხარეზე ანუ პროკურატურაზე! რატომ? იმიტომ, რომ ამ ორგანომ მოიპოვა უზარმაზარი მტკიცებულებითი მასალები ნაპრეზიდენტალის შავბნელ საქმეებზე! ამიტომაც აამუშავა ნოდარ ცრუმ სიყალბისა და შხამით სავსე საინფორმაციო ღრუები! ისე კი, უნდა იცოდნენ ნოდარამ და მისმა რაზმმა, რომ ძალიან კი უნდათ, დახუროს ვინმემ მათი სალაყბო, მაგრამ როგორც ბელადი იტყოდა „ნურას უკაცრავად“, ეს არანაირად არ მოხდება! პირიქით, ტყუილებისა და ცრუ დაბრალებებისათვის, ამ დეზინფორმატორებს უფრო ფართო ასპარეზი მიეცემათ! და როგორც ერთ დროს იტყოდნენ, მათ ამ ცრუ და სიყალბით სავსე ნამოქმედართა გამო, საზოგადოება, ვიდრე ახლაა, იმაზე ბევრად მეტად იქნება გაცინებული და გამხიარულებული!“, — წერს გვენეტაძე.

ლევან ნიკოლეიშვილი: ისევ აჭორავდა ნაცტელევიზია!

რა საკვირველია, ახლა ნაცებს ურჩევნიათ, რომ ქვეყნის პრემიერი ისევ გახარია იყოს, მაგრამ, მათდა საუბედუროდ და ქვეყნისთვის სასიკეთოდ, ქვეყანას დღეს სათავეში ირაკლი ღარიბაშვილი უდგას, რომელიც სიმშვიდის, პრინციპულობისა და სამართლიანობის გარანტიაა. ამიტომ აჭორავდა მთელი ნაცტელევიზია, თუმცა, ზუსტად ისევე გაქრება მათი ილუზიები პრემიერის გადადგომაზე, როგორც გახარია აორთქლდა ქართული პოლიტიკიდან.

გინდათ ორ კვირაში რიგგარეშე არჩევნები?

ჩვენ თვალწინ დიდი გარდაქმნა, სპექტაკლ-პერფორმანსი ხდება. გაცილებით დიდი, ვიდრე ალადინთან, როცა ბოთლიდან ჯინი ამოვიდა და მთელი ცა დაფარა. მაგრამ ეს ამბავი უფრო იმ ზღაპარს მაგონებს, ოჯახიდან გაგდებულმა კაცმა, რომელმაც შინაურებს გული გაუწვრილა უქნარობითა და ნაცარქექიობით, გარეთ გაუგონარ წარმატებას მიაღწია: გულუბრყვილო, მიმნდობ, ერთი სიტყვით, დოყლაპია დევებს მთელი ქონება გამოსტყუა და სახლიდან გაყარა.

მაგრამ ეს ამბავი სინამდვილეში სულაც არ არის ზღაპარი. ერთი ასეთი ნაცარქექია, რომელიც ადრე ტახტიდან ჩამოაგდეს, შემდეგ კი ქვეყნიდან გააძევეს როგორც ცრუ და ავისმქნელი, დღეს აგერ გვიწევს ჰოსპიტალში (უკან ჩუმად, არაჟანაფარებულად დაბრუნებული) და ხელისუფალთა გაყრით იმუქრება, არა მხოლოდ დოღრიალურად იქნევს მუშტებს, არამედ გეგმებს აკოწიწებს, საზოგადოებას რაზმავს, დეკემბერში ერთი გრანდიოზული აქციის ჩატარებას სთავაზობს ოპოზიციას, მანამდე კი ციხიდან თავდასახსნელად წინადადებას იძლევა, შექმნან საგანგებო ინტერპარტიული, ინტერსაზოგადოებრივი, ინტერსაერთაშორისო კომიტეტი. თან ყველას ამშვიდებს, ივანიშვილისგან გათავისუფლებულ საქართველოში არც ერთ კონფიგურაციაში არ მოვიაზრებ ჩემს თავსო.

მოარული დღის ლოზუნგი: **გავათავისუფლოთ სააკაშვილი და ორ კვირაში მივიღებთ რიგგარეშე არჩევნებს!**

მიშა რეალურად ვერ აფასებს მოვლენებს (ან როდის აფასებდა რო?!) და ლენინური დაჟინებით სთავაზობს ნაცმოძრაობას: ახლა მთავარია გავზარდოთ მასობრიობა, ბეტონის კედლად აღვუდგეთ წინ მოძალადეებს („ქართულ ოცნებას“), გაუჩერებელი აქტიურობაა საჭირო და ამათ უცბად ჩამოვაგდებთ. **აქტიურობა, აქტიურობა და კიდევ აქტიურობა!**

მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო...

ვეღარ არის ნაცმოძრაობა ძველებურად მონოლითური, ბატონო მიშა. ამ საკითხზე თვით თქვენს ოჯახში აღარაა თანხმობა და ერთსულოვნება. ედუარდ სააკაშვილმა განმარტა: **ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ოპოზიციაში ზოგ-ზოგებს მკვდარი მიშა ურჩევნიათ ცოცხალსო** და გული მოუკლა მამას, რომელიც არა და არ დაეთანხმა მემკვიდრის ამ თვალთახედვას.

ყოფილმა მეუღლემ სანდრა რულოვსმა გიორგობა კარლ იუნგის სიტყვებით მიულოცა მიშას: **„მნიშვნელობა არა აქვს ბოროტება აქეთ არის თუ იქით, მისი დამარცხება მხოლოდ საკუთარ თავშია შესაძლებელი“.** მაგრამ გაისიგრძეგანებს ამ სიბრძნეს გორის სამხედრო ჰოსპიტლის ტუსაღი?

დაბეჯითებით ვრცელდება ხმები, რომ ნაცმოძრაობის შიგნით დაპირისპირებაა, რომ მიშა ნიკა მელიათი უკმაყოფილოა იმის გამო, რისთვისაც ამ პარტიის მხარდამჭერებიც სოციალურ ქსელში შავ დღეს აყრიან ნაცების თავმჯდომარეს, ორჯერ ვერ გამოიყენა მასშტაბური აქცია მთავრობის შტურმისთვის, აღერღილი ხალხი შინ გაუშვა და ამრიგად, მძლავრი საპროტესტო მუხტი გაანიავაო.

კიდევ. საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნდა სანდო წყაროს დამოწმება: ნიკანორს დაძაბული ურთიერთობა აქვს ვანო მერაბიშვილთან, რომელიც წყალს ამღვრევს და სააკაშვილს მელიას წინააღმდეგ განაწყობს (არადა, ვანუა მერაბიშვილი საიმედოდ გამქრალი გვეგონა პარტიულ-რევოლუციური არენიდან). თურმე სწორედ ნაცების ეს ფრთა უთხრის ძირს ნიკა მელიას. მიშაც მათი გავლენით ალმაცერად უყურებს თავის რჩეულს. გამორიცხული არ არის მომავალში ნიკა მელიას, ელენე ხოშტარიას და ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის პოლიტიკური ტანდემის ამოწვერვა.

მოკლედ, რეალობა ასეთია: მიშას მოლოდინი, რომ საქართველოში ჩამოვიდოდა, ანუ ჩამოარაჟანდებოდა თუ არა, მაშინვე მთელი ერი მოიგლიჯებოდა და „ოსანას“ გალობით შეაბრძანებდა ავლაბრის სასახლეში, არ გამართლდა. იგი გაწბილებულია და შეიძლება ნაბან წყალს ნიკანორი მართლაც გადააყოლოს. „გამოთავისუფლებულ“ სათავმჯდომარეო ტახტზე უკვე ასახელებენ სავარაუდო კანდიდატებს: ნიადაგ ოთხ-ოთხი მცველით მოარულ მამაც ნიკოლოზ გვარამიას და აჭარულ გამოცანა ლევან ვარშალომიძეს (აი, მაშინ კი ნამდვილად აშენდება ნაცმოძრაობა!)...

ოღონდ, რატომ არ შეიძლება ამ თანამდებობაზე წარმოვიდგინოთ ენამეცეცა- ენამოსაჭრელი ლევან ხაბეიშვილი ან თუნდაც ანა წითლიძე, რომელსაც სააკაშვილმა ქართველი ჟანა დარკის მეტსახელი ჩამოჰკიდა მკერდზე მედალივით ამ დღეებში ზუგდიდში მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს ჩადენილი მძვინვარე ხულიგნობისთვის (თუმცა, მხოლოდ „ამ დღეებში“ რა მოსატანია,საქართველოს პარლამენტის წევრი ეს ქალბატონი საყოველთაო თავისტკივილია მუდმივად არანორმალურობამდე მისული გამოხდომების გამო).

სააკაშვილს დღემდე არ აკლია მომხრე, რომელთა უმეტესობამ კარგად იცის, რა ხვითოც ბრძანდება. მაგალითად, ლევან ბერძენიშვილი 2012 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში დაბეჯითებით ამტკიცებდა, სააკაშვილი არ არის ჩვენი მიწა-წყლის დამბრუნებელი. მან ქართული ანბანის 33 ასოც კი არ იცის კარგად, არ ფლობს სასვენ ნიშნებს (ეს რომ მართლაც ასე ყოფილა, კარგად გამოჩნდა ციხიდან გამოგზავნილი მისი ხელნაწერი ბარათებით-ა.ა.), ვერ ერკვევა, რომელია ქვეყნის დედაქალაქი, მაგრამ აქვს ბედნიერება, ქართველი ხალხის ნაწილს კვლავ მოსწონდესო. სამაგიეროდ, ნიკა გვარამია აღშფოთებულია, როგორ თუ თავისუფლების სიმბოლოებს ნავალნის და ფაშინიანს ერთი სიტყვაც არა აქვთ დაძრული მართლა თავისუფლების სიმბოლო სააკაშვილზეო. სირცხვილი ნავალნის და ფაშინიანსო!

აქვე მკითხველს გავაცნობ ექიმ ანზორ მელიას (ნიკანორის მამის, ზუგდიდის მერობის ყოფილი კანდიდატის) ნაამბობს, რაც 2017 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ სააკაშვილი არ მიყვარდა, მიშამ კინაღამ დამიჭირა. 2008 წელს დამირეკა მისმა მამამ ნიკოლოზ სააკაშვილმა, რომელიც გულს შეეწუხებინა და დახმარება მთხოვა, მას ორი სტენტი ჩავუდგით. მიშას მეგობარი, რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორი, ლოთი და ბასიაკი ნიკოლოზ ყიფშიძე დაიბოღმა, როგორ თუ პრეზიდენტის მამას შენ ჩაუდგი სტენტები და არა მეო. ჯერ დამაბრალა, ცრუობ, არავითარი სტენტები არ ჩაგიდგამსო. როცა გააშუქეს და ორივე სტენტი ადგილზე აღმოჩნდა, ახალი ბრალდება წამომიყენეს, ძაღლის სტენტები ჩაგიდგამსო, სასწრაფოდ მომთხოვეს საბუთები. მოვიწვიეთ კონსილიუმი და გავმართლდი. ასე მაწამა ნიკოლოზ ყიფშიძემ.

განმარტებისთვის: ეს ის სააკაშვილის პირადი ექიმი ნიკოლოზ ყიფშიძე გახლავთ, რომლის დასკვნებსაც პატიმრის ჯანმრთელობის შესახებ ცის მანანასავით ელიან ნაცები და მათი მომხრეები.

ასეთი გახლავთ ვითარება დღეს და ღმერთმა იცის, როდემდე გაგრძელდება. თუ მისი შეცვლის ინდექსად გორის სამხედრო ჰოსპიტლის პაციენტი პატიმრის ქცევის თვალდათვალ, დღითი დღე არაკეთილსასურველ მეტამორფოზას ავიღებთ, აშკარად ვერ დაიარხეინებ კაცი გულს!

ალეკო ასლანიშვილი

სოსო მანჯავიძე: ხელისუფალნო, ნუ გვამყოფებთ სამართლებრივი შიზოფრენიის მდგომარეობაში!

1 ოქტომბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით, პატიმარ მიხეილ სააკაშვილს რუსთავის მე-12 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 200-ზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა. გლდანის მე-18 სამკურნალო დაწებულებაში, სადაც პატიმარმა 11 დღე დაჰყო, 100-ზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა. ყველა, ვისაც საქართველოს კანონმდებლობით უფლება ჰქონდა შესულიყო დაწესებულებაში, შედიოდა. იმყოფებოდნენ პარლამენტის წევრები, მუდმივ რეჟიმში შედიოდა პირადი ექიმი, ოჯახის წევრები და ყველა ის პირი, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანილი სააკაშვილი ითხოვს, რომ განახლდეს ვიზიტორთა შესვლა. წესით, იურისტმა სააკაშვილმა უნდა იცოდეს, რომ პატიმარი არ განსაზღვრავს პროტოკოლს და პატიმრის მონახულების უფლების მიცემა არ არის თავად პატიმრის სურვილზე. ამის მიუხედავად, სააკაშვილმა ხელისუფლებას ახალი ულტიმატუმი წაუყენა, თუ მასთან დეპუტატებს არ შეუშვებდნენ, უარს იტყოდა მკურნალობის კურსზე და მიიღებდა მხოლოდ იმ მედიკამენტებს, რომლებიც დაკავებამდე ჰქონდა გამოწერილი.

გუშინწინ კი ცნობილი გახდა, რომ სააკაშვილი გორის სამხედრო ჰოსპიტალში რეაბილიტაციას გააგრძელებს. როგორც სააკაშვილის ადვოკატმა განაცხადა, მათი თხოვნით პატიმარი არ შეწყვეტს მკურნალობას ორშაბათამდე. დააკვირდებიან რა იქნება ორშაბათს, შემდეგ მას პროტესტის უფლებას ვერავინ წაართმევს.

სააკაშვილის მოკლევადიანი გეგმა, რომ ყველა ხერხით ციხიდან თავის დაღწევაა, ეს ცხადია, ისევე როგორც ცხადია, რომ ხელისუფლების მიერ გათამამებული პატიმარი არ უჩივის კომუნიკაციას საზოგადოებასთან. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ სააკაშვილი რიგითი პატიმარია, მაგრამ პირობები რაც ამ „რიგით“ პატიმარს შეუქმნეს, არ ტოვებდა ამის შთაბეჭდილებას. მსოფლიო მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, პრეზიდენტები სასჯელს იხდიან ზუსტად ისე, როგორც რიგითი პატიმრები. აქედან გამომდინარე, ანალიტიკოსი **სოსო მანჯავიძე** ამბობს, რომ ხელისუფლების განცხადება, თითქოს სააკაშვილი არ განსხვავდება სხვა პატიმრებისგან, დაგვიანებულია და დაუშვებელია ასეთი პრინციპით მიდგომა.

„ლათინური გამოთქმაა, რაც მიეტევება იუპიტერს, არ მიეტევება ხარს. ასეთი მიდგომა და, მით უმეტეს, ასეთი დემონსტრაციული ფორმებით, როცა ყველა უყურებს, რომ ლამის, სააკაშვილმა ოფისი გახსნას ციხეში, ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი და ანგრევს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პერსპექტივას. ეს ვითარება ძალიან მაგონებს ვაიმერის რესპუბლიკაში ჰიტლერის გასამართლებას ცნობილი მიუნხენის „ლუდის პუტჩი“-ს დროს, მასაც დაახლოებით მსგავსი პრივილეგიები ჰქონდა საპატიმროში, რაზეც აღშფოთებული იყვნენ გერმანიაში. ასეთი უპრეცედენტო რამ, რაც აქ ხდება, არც გამიგია და რაც მალე გაიგებენ, რომ პრესცენტრი კი არა, ხელისუფალნი არიან, მით უკეთესი“, – აცხადებს **სოსო მანჯავიძე.**

იხ. 4 გვ.



(მესამე გვერდიდან)

სოსო მანჯავიძე: ხელისუფალნო, ნუ გვამყოფებთ სამართლებრივი შიზოფრენიის მდგომარეობაში!

ეცნენ პასუხისგებაში ადამიანები, რომლებმაც გაანადგურეს მიწათმოწყობის ინსტიტუტი, რომელიც დავითგარეჯის საქმეს არის მიბმული, რომელიც ასევე სახელმწიფო ღალატს უკავშირდება. სასწრაფოდ უნდა იქნას გამოძიებული 2008 წლის ომი. ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ ბიზნესის წართმევებში, სასწრაფოდ უნდა იქნენ ჩამოცილებული თანამდებობებს, ასეთი უამრავია“, — აცხადებს **სოსო მანჯავიძე.**

* * *

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** შეფასებით, სააკაშვილი ყველაფერს ძალიან კარგად აცნობიერებს. მისი ძირითადი მიზანია უმართავი პროცესების პროვოცირება. მით უმეტეს, რომ ამ აბსურდის თეატრის გარშემო საზოგადოებაში უკვე მძაფრდება გაღიზიანება ხელისუფლების მიმართ, რაც არის კიდევაც სააკაშვილის ძირითადი მიზანი — გაღიზიანება გამძაფრდეს!!!

„სააკაშვილი ხელისუფლების წინააღმდეგ ცდილობს უმართავი პროცესების აგორებას ამ თავისი აბსოლუტურად უაზრო ულტიმატუმებით. შემდეგი ულტიმატუმები შეიძლება იყოს მისი პირადი ექიმის მხრიდან იმის მტკიცება, რომ სააკაშვილი მთელი ცხოვრება მიჩვეული არის, ბოდიშით და რეგულარულ სექსუალურ ცხოვრებას, მის ჯანმრთელობაზე ძალიან ცუდად აისახება ეს იძულებითი თავშეკავება და იმისთვის, რომ მისი ჯანმრთელობა არ გაუარესდეს, არ მოხდეს სპერმოტოქსიკოზი, ამიტომ აუცილებელია მის საკანაში ღამით პერიოდულად რჩებოდეს თუნდაც დეპუტატი იასკო!

სააკაშვილი საკუთარ თავზე ირგებს, აი, ამ ფსევდოსალოსობას და აი, ამ თავისი გიჟური ულტიმატუმებით ხელისუფლების ამომრჩეველშიც ამძაფრებს ამ უკიდურესად გაღიზიანებულ განწყობას. მაგრამ როდემდე?! არ ვიცი, ამ სიტუაციაში რა იქნებოდა ყველაზე ქმედითი ნაბიჯი ხელისუფლების მხრიდან — ალბათ, ამ აბსურდული ულტიმატუმების აფიშირება, რაც შეიძლება ფართო მასშტაბით, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორების მუდმივი ინფორმირება: პირველი — ეს ადამიანი თავდაყირა აყენებს მართლმსაჯულების სისტემის არსს. მეორე — პროვოცირებას უკეთებს იმ დანარჩენ პატიმრებს, რომ ბოლო-ბოლო ცისის ბუნტი გამოიწვიოს“, — აცხადებს **დავით ქართველიშვილი.**

როგორც ანალიტიკოსი ამბობს, ბუნტი შეიძლება მივიღოთ იმიტომ, რომ ისინი არათანაბარ პირობებში არიან. მისი თქმით, ყველა პატიმარს აქვს დაძაბული ნერვები, რა თქმა უნდა, ყველა არის შეზღუდული საოჯახო და პირად უფლებებში, რასაც ითვალისწინებს სწორედ პენიტენციალურ სისტემაში მოხვედრა, მაგრამ ისინი იდიოტები არ არიან, უყურებენ, რომ ერთ შერეკილს, ნახევრად გიჟს, ყველაფერი გასდის და ეს ყველაფერი გასდის მოქმედი ხელისუფლების პირობებში.

„ისეთ სახიფათო პრეცედენტს ეყრება საფუძველი ამ ერთი ადამიანის გამო, რომელსაც ყველაფერი აწყობს, თუკი ამ ყველაფერს მოჰყვება რაღაც უკიდურესი რეაგირება თვითონ პატიმართა მხრიდან და, ალბათ, საზოგადოების მხრიდანაც. ეს ყველაფერი მიმართული იქნება არა მარტო თავის სიგიჟეებთან მიმართებაში, არამედ ხელისუფლებასთან მიმართებაში. ამიტომ, ხელისუფლებამ უნდა აღკვეთოს ეს სიგიჟე და არ აყვეს მისი თამაშის წესებს. არ მიიღებს მედიკამენტებს? — ნუ, რას იზამ, თავისი ნებაა, ნუ მიიღებს! ოღონდ ეს ყველაფერი თავის დროზე გააგებინონ ყველა იმ ინსტანციას, რომლებსაც შემდეგ ომბუდსმენი და პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი მიმართავს როგორც მაშველ რგოლს“.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, სააკაშვილი ვერ ეგუება იმას, რომ საქართველოში მოუწია პატიმრობა, სადაც ის ყოფილი პრეზიდენტი იყო და დამოკიდებულებაც განსხვავებულია. როგორც საყვარელიძე ამბობს, დიდი ეჭვი აქვს, რომ უკრაინის ციხეში ასეთი მდგომარეობა არ ექნებოდა.

„უკრაინის ციხეს უცხოელებიც არ მოსთხოვდნენ, რომ სააკაშვილს სხვანაირად მოეპყარიო. უკრაინის სინამდვილისთვის სააკაშვილი ჩვეულებრივი უკრაინელია, რეალურად კი მიგრანტი. ქართულ სინამდვილეში მაინც ყოფილი პრეზიდენტია და უცხოელების პრეტენზია ამისკენ არის მიმართული.

რაც შეეხება მის პრეტენზიებს, გადაავლეთ თვალი სააკაშვილის ბიოგრაფიას — გათამამებას შეჩვეულია. უკრაინის ხელისუფლებამ არ გაათამამა ბოლო დრომდე? ასე რომ, ეს მისი სტილია —- მოთხოვნა, მოთხოვნა, მოთხოვნა. თუკი არ შეუსრულებენ, მერე უკვე შეტევაზე გადასვლა და ა.შ. მისი პრეზიდენტობაც რთული იყო მაგ მხრივ. როგორც გვახსოვს, პრეტენზიანი პრეზიდენტი იყო და პატიმარი მით უფრო რთული იქნება, ფიქრობს, რომ საპრეტენზიო მეტი აქვს. სააკაშვილი ვერ ეგუება იმას, რომ საქართველოში მოუწია პატიმრობა, სადაც ის ყოფილი პრეზიდენტია და დამოკიდებულებაც სხვანაირია“, — აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

თუ ჩვენ არ ვიქნებით, ბიუჯეტიც ნუ დამტკიცებულა!

საკრებულოებში ბიუჯეტის ჩაგდების ჟინი და ხელოვნურად შექმნილი წივილ-კივილი, რომელიც ოპოზიციას, სავარაუდოდ, ქვეყანაში პოლიტიკური ტემპერატურის ასაწევად სჭირდება. „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში მოსახლეობისთვის ილუზიას ქმნის, თითქოს ვინმე-ვინმეზე ძალადობს და კანონი ირღვევა

ოპოზიცია 2017 წლის მოწვევის საკრებულოს ვადაგასულს უწოდებს, თუმცა თავადვე ამბობენ, რომ საკრებულოს ძველ შემადგენლობას უფლებამოსილება მაშინ გასდის, როდესაც ახლადარჩეული ორგანოს წარმომადგენლობითი პირველი სხდომა გაიხსნება. პირველი სხდომა კი 3 დეკემბერს ჩატარდება, შესაბამისად რაზე დავობს ოპოზიცია, გაუგებარია. ასევე გასაკვირია, რომ ცესკოს ამ გადაწყვეტილებას მხარი თავად ოპოზიციის წევრებმა დაუჭირეს. ახლა კი უეცრად აღმოაჩინეს, რომ ეს მათთვის მიუღებელი დრო ყოფილა. მაშ, რაშია საქმე და რეალურად რა ამოძრავებს ოპოზიციას?

26 ნოემბერს ბიუჯეტის დამტკიცების პროცესს ბათუმში, ზუგდიდსა და მარტვილში ამაზრზენი ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა. ოპოზიციის პროტესტი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მთავარ ფინანსურ დოკუმენტს წინა მოწვევის საკრებულოს შემადგენლობა ამტკიცებს, რასაც კანონდარღვევად მიიჩნევს და აპროტესტებს. დაპირისპირების ფონზე, 26 ნოემბერს პოლიციამ ადმინისტრაციული წესით ზუგდიდში 2 პირი, ხოლო აჭარაში 4 პირი დააკავა.

ბათუმის საკრებულომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში მაინც დაამტკიცა. ვინმე მ. ქამადაძემ, სხდომის ჩატარებისთვის ხელის შემლის მიზნით, დარბაზში სპეციფიკური სუნის მქონე ხსნარიც გაუშვა. ზუგდიდის მთავარი ფინანსური დოკუმენტის დამტკიცება დროებით მაშინ შეჩერდა, როცა საკრებულოს სხდომაზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ანი წითლიძე საყვირით შევარდა. სხდომის გაგრძელების მიზნით, ოპოზიციის წარმომადგენელი დარბაზიდან პოლიციამ გაიყვანა.

სხდომა ოპოზიციის საყვირების, დაპირისპირებებისა და შეძახილების ფონზე მიმდინარეობდა, თუმცა ზუგდიდის საკრებულოს დეპუტატებმა 2022 წლის ბიუჯეტი მაინც დაამტკიცეს. ხმაური მხოლოდ შენობაში არ იყო. ზუგდიდის საკრებულოს მიმდებარე ტერიტორიაზე

ნაცხროვამ დიდი გზა განვლო, რომ მირდატ ქამადაძის და ანა წითლიძის მსგავსი ახალი მანქურთები შეესია პატიოსანი ხალხისთვის!

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა და მხარდამჭერებმა საპროტესტო აქცია გამართეს და გზაზე საღებავებით წარწერების გაკეთებაც სცადეს. პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისთვის კი სამართალდამცველებმა 2 პირი დააკავეს, მათ შორის ერთი ზუგდიდის საკრებულოს ახალი მოწვევის დეპუტატია „ნაციონალური მოძრაობიდან“.

ხმაური იყო მარტვილშიც. 2-საათიანი განხილვის შემდეგ მარტვილის საკრებულომ მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. სხდომას

გეშინოდეთ ხალხის, მატყუარა „მოშიმშილე“ ნაცებო!

საქართველოში ივანიშვილის დემოკრატიამ კიდევ ერთ არჩევნებში გაიმარჯვა

საქართველოში, შედარებით ღარიბ ქვეყანაში, დემოკრატიის მშენებლობის ფონზე, საკმაოდ პოლარიზებულ გარემოში, სადაც ათეულობით ოპოზიციური პარტიაა, ხოლო მთავარი ოპოზიციური პარტიის — ერთიანი ნაცმოძრაობის ლიდერი ციხეშია, მმართველმა პარტიამ მესამე ვადით, როგორც საპარლამენტო, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოიგო, რაც ასეთ პირობებში მეტად რთულია და ძირითადად, „ოცნებმის“ დამფუძნებლის ბ. ივანიშვილის მიერ ქვეყანაში გატარებულმა დემოკრატიულმა რეფორმებმა განაპირობეს.

ბიძინა ივანიშვილი 2012 წელს ხელისუფლებაში კოალიციით მოვიდა. შემდეგ შეცვალა ქვეყნის კონსტიტუცია, საარჩევნო სისტემა და შეეცადა შეექმნა უფრო ქმედითი კონსტრუქციული ოპოზიცია, მაგრამ ეს არ გამოუვიდა!.. ოპოზიცია კოალიციის შესაქმნელად გაერთიანდა და დაეყრდნო ქვეყანაში ყველაზე სახელგატეხილ ოპოზიციურ პარტიას — ნაციონალურ მოძრაობას, რომელსაც თავის მხრივ ხალხის სათანადო მხარდაჭერა არ გააჩნდა.

ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის თითქმის ერთი მეოთხედი ძალიან ღარიბია, ხოლო საშუალო ფენა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის, გასაკვირი არ უნდა იყოს, მოსახლეობის ამ მნიშვნელოვანმა სეგმენტმა მხარი არ დაუჭიროს არსებულ მთავრობას, (განსაკუთრებით განმეორებითი არჩევნების დროს), რაც თავის მხრივ, ოპოზიციის მნიშვნელოვან საარჩევნო რესურსს და ბრძოლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს!

ბ-მა ბ. ივანიშვილმა ქვეყანაში შექმნა ისეთი დემოკრატიული გარემო, როცა ხალხს, თითოეულ მოქალაქეს გაუჩნდა იმის განცდა (რაც ყველაზე მეტად აკლდათ), რომ ქვეყანაში მკვიდრდება ადამიანის თავისუფლების, სიმართლის, სიტყვის და გამოხატვის უფლებები, რითაც გადაიფარა მათი ყოფითი ნაკლოვანებებით გამოწვეული უკმაყოფილებანი. ამან საბოლოოდ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ყველა შემდგომი არჩევნების შედეგებზე.

ქვეყნის დემოკრატიზაციის ტალღაზე ივანიშვილმა მხარი დაუჭირა და ხელი არ შეუშალა ოპოზიციურ მასმედიას — მრავალრიცხოვანი ოპოზიციური პარტიული ტელევიზიების საქმიანობას, რომლებიც „კრიტიკული მედიის“ მანტიაში გახვეულნი ხშირად ეწეოდნენ ღია ანტისახელწიფოებრივ პროპაგანდას, რომლის თავდასხმის ობიექტი თავადაც იყო და არის!

შემდგომ, სპონტანურად მოხდა ამ ტიპის ტელევიზიების სეპარაცია-გამოყოფა მთლიან საინფორმაციო სივრცეში, რამაც ხალხს საშუალება მისცა ალტერნატიული მაუწყებლობის პირობებში თვალნათლივ დაენახა ვინ ვინ იყო, ვინ რა ღირებულების მატარებელია და გაეკეთებინა თავისი არჩევანი, რაც ნათლად გამოჩნდა ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, როცა „ოცნებამ“ 64-დან 63 მუნიციპალიტეტში მერის არჩევნები მოიგო.

ქართული დემოკრატია ჯერ კიდევ სრულყოფილი არ არის.მიუხედავად ამისა, ანალოგი არ ჰყავს რეგიონში, ხოლო რიგი მაჩვენებლით, ზოგჯერ სჯობს ბევრ დემოკრატიულ ქვეყანას, ზოგჯერ კი, ღიმილს და გაკვირვებას იწვევს. მარტო ის რად ღირს, როცა მთელი არმია დაქირავებული ნაცპარტიული ოპოზიციონერი ტელეჟურნალისტებისა (ინგა-დიანები, ნოდარიკოები, ეკუკები, ნიკუტები და სხვანი), ჩასაფრებულ „პარტიულ-არასამთავრობოებთან“ ერთად, ორკესტრირებულად, პერმანენტულად ებრძვიან ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ ქვეყნის მთავრობას და არჩევნების გარეშე მის შეცვლაზე ოცნებობენ.

ან ასეთი მაგალითი: ყოფილი ქვეყნის მესამე პრეზიდენტი, სხვა ქვეყნის მოქალაქე, რევანშის მანიით შეპყრობილი, ჯერ კიდევ კოვიდპანდემიამდე „ონლაინ“ რეჟიმში, წლების განმავლობაში, თავისი საკუთარი ტელევიზიების საშუალებთ ებრძოდა ქვეყნის კანონიერ ხელისუფლებას, მმართველ პარტიას და მის თავმჯდომარეს, რაშიც მას, პრაქტიკულად, ხელს არავინ უშლიდა. რაღაც ეტაპზე, როცა ამ გზით საწადელს ვერ მიაღწია (არჩევნებზე ხალხმა მხარი არ დაუჭირა), გადაწყვიტა არალეგალურად შემოპარულიყო საქართველოში და ამ ბრძოლას ჩასდგომოდა სათავეში, რის გამოც ციხეში მოხვდა.

ოი საოცრებავ, ბრალდებული პატიმარი აცხადებს „შიმშილობას“, იქვე ქმნის „რევოლიციურ შტაბს“, საკანში იღებს ოპოზიციონერ დეპუტატებს, სხვადასხვა პარტიულ აქტივისტებს, აწყობს აქციებს, ყველას თვალწინ მოუწოდებს თავის თანამზრახველებს კანონიერად არჩეული დემოკრატიული ქვეყნის მთავრობის დამხობისკენ („მშვიდობიანად?!“). ალბათ ამ შემთხვევაზეა ნათქვამი: „ზოგჯერ ქვეყნის დემოკრატიით ყველაზე მეტად ოპოზიცია სარგებლობს“.

ქართულ დემოკრატიას კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, დემოკრატია არ უნდა გახდეს ხალხისთვის, სახელმწიფოსთვის რაიმე სახით მიუღებელი და საზიანო, თორემ ასეთ დემოკრატიას, რომელიც არ არის განმტკიცებული კანონის უზენაესობით, ხალხი ნამდვილად არ მიიღებს. არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს აბრამ ლინკოლნის ცნობილი გამონაქვამი (1863 წ.): „დემოკრატია არის ხალხის მიერ ხალხის სასიკეთოდ განხორციელებული ხალხის ძალაუფლება“.

ბონდო ჟოგულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იური ლუცენკო:

მოსკოვიდან უკრაინაში გამოიგზავნა დანომრილი ფული, რომელიც სააკაშვილის მხარდამჭერებს გადაეცა

უკრაინის ყოფილი გენპროკურორი სააკაშვილის წინააღმდეგ წარმოებული გამოძიების დეტალებზე საუბრობს

დანომრილი ფული იყო გაგზავნილი მოსკოვიდან უკრაინაში და ისინი გადაეცა და დაუნაწილდა სააკაშვილის მხარდამჭერებს, ესეც ფაქტია, — ამის შესახებ უკრაინის ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ ქართულ მედიას განუცხადა.

მისი თქმით, სააკაშვილი უკრაინის დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის იდეას არღვევდა, რაზეც პასუხი უნდა აგოს.

„გამოძიების მიერ დამტკიცებულია, რომ სააკაშვილს რამდენიმე სატელეფონო ზარი ჰქონდა ოლიგარქ კურჩენკოსთან, რომელიც იყო საფუძველი ქვეყნის ძარცვისა ექსპრეზიდენტი იანუკოვიჩის მიერ, რომელიც იმყოფებოდა მოსკოვში. საუბრები მასთან იმაზე დადიოდა, რომ კურჩენკო თანხას იძლეოდა და სააკაშვილი უკრაინაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დახურავდა სისხლის სამართლის საქმეებს კურჩენკოსა და სხვა მსგავსი მოღვაწეების მიმართ. ექსპერტიზა, რომელიც დიდი ხანი მიმდინარეობდა, დასრულდა და წერტილი დაესვა, რომ ხმა ეკუთვნის ბატონ სააკაშვილს, ანუ დანომრილი ფული იყო გაგზავნილი მოსკოვიდან უკრაინაში და ისინი გადაეცა და დაუნაწილდა სააკაშვილის მხარდამჭერებს, ესეც ფაქტია. ეს ადამიანი არღვევდა იდეას უკრაინის დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის შესახებ, რაზეც პასუხი უნდა აგოს“, — განაცხადა იური ლუცენკომ.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ოპოზიციის პროტესტი შეწყდა.

სამეგრელოში „ნაციონალური მოძრაობა“ რამდენიმე დღით ადრე აანონსებდა, რომ ისინი წინა მოწვევის საკრებულოებს ზუგდიდსა და მარტვილში მთავარი ფინანსური დოკუმენტების განხილვის საშუალებას არ მისცემდნენ, თუმცა, გუშინ, 2022 წლის ბიუჯეტი მაინც დამტკიცდა.

„ოცნების“ დეპუტატი **რატი იონათამიშვილი** ამბობს, რომ საკრებულოებში პროცესი კანონის სრული დაცვით წარიმართა. დეპუტატი აცხადებს, რომ ეს ისტერიკა, რომელსაც ოპოზიცია აწყობს, სრული ფარსია, რადგანაც კანონის მიხედვით საკრებულოს ნებისმიერ დროს ბიუჯეტის გადახედვა, განკარგვა და ცვლილებების შეტანა შეუძლია.

„ეს ადამიანები საქმეზე ორიენტირებულები არ არიან. სინამდვილეში საერთოდ არ აინტერესებთ ბიუჯეტი როდის დამტკიცდება და როდის არა. ამათ ერთადერთი რაც უნდათ, ის არის, რომ ხელოვნურად დადგან სცენა, თითქოს ვიღაცა-ვიღაცაზე ძალადობს. პროვოკაციაზე წავიდნენ და ამ დროს იქნება ვინმეს რამე შეცდომა დააშვებინონ. ამას კი შემდეგ სათავისოდ გამოიყენებენ. ეს ხალხი ადამიანების პირადი ტრაგედიებით მოვაჭრეები არიან, ამიტომ ნებისმიერ უკადრებელს იკადრებენ. ძველ საკრებულოს ვადა მაშინ გასდის, როცა ახალი საკრებულოს პირველი სხდომა ჩატარდება. ამიტომაც ოპოზიციის ქმედება მხოლოდ დესტრუქციაა და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, რასაც ხელისუფლება ადეკვატურად პასუხობს“, — ამბობს იონათამიშვილი.

თვითმმართველობის სპეციალისტი **ირაკლი მელაშვილი** კი აცხადებს, რომ „ოცნება“ ბიუჯეტის დამტკიცებისას არალეგიტიმურს არაფერს აკეთებს და ეს არის სრულიად კანონიერი ქმედება. მელაშვილი ამბობს, რომ ეს არის ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც ოპოზიცია აპროტესტებს.

„ამ გადაწყვეტილებაში არაკონონიერი არაფერია და ხელისუფლება სრულიად კანონიერად მოქმედებს. უბრალოდ, ეს არის ცუდი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელმაც ქვეყანაში ისედაც დაძაბული პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. 3 დეკემბრამდე ცესკოს გადაწყვეტილებით ძველ საკრებულოს უფლებამოსილება გახანგრძლივებული აქვს. ცესკოს რომ 20 ნოემბერს ჩაენიშნა, ეს წივილ-კივილი აღარ იქნებოდა. არასდროს პირველი სხდომის მოწვევა ამდენი ხნით არ გადაუწევიათ. გასაოცარი ისაა, რომ კი ბატონო „ოცნება“ რასაც აკეთებს, გავიგე, მას საკუთარი პოლიტიკური მიზნები აქვს, მაგრამ ცესკოს გადაწყვეტილებას მაშინ ოპოზიცია რომ დაეთანხმა, რაღატომ დაეთანხმა? ოპოზიციის წევრთა 15 წევრისგან ამ გადაწყვეტილებას 14 წევრმა მხარი დაუჭირა. ეს ხალხი მაშინ სად იყო, ახლა რომ ყვირიან? აგერ არის ცესკოს განცხადება, სადაც პირდაპირ წერია, რომ არც ერთხელ ოპოზიციას საკითხი არ დაუყენებია, რომ საკრებულოების სხდომა ადრე ჩავნიშნოთო.

ეს არის ან ოპოზიიცის უვიცობის ბრალი, ან უბრალოდ, ამ პროცესის თანამონაწილეები არიან და ახლა თავის ამით გამართლება უნდათ. რუსთავში ბიუჯეტი საერთოდ ისე დამტკიცდა, ვერავინ გაიგო. ოპოზიცია იქაც უმრავლესობაშია, ვინმეს ხმა გავიგეთ? ხომ ჩნდება კითხვა — მაშინ ბათუმში, ზუგდიდსა და მარტვილში ხმაური რატომ იყო? წინა საკრებულოს უფლებამოსილება მაშინ უწყდება, როცა ახალი საკრებულოს უფლებამოსილება იქნება ცნობილი. ეს კი 3 დეკემბერს მოხდება და ამას მხარი ყველა ოპოზიციურმა პარტიამ დაუჭირა, ვინც საკრებულოში იმყოფება“, — ამბობს მელაშვილი. ანალიტიკოსი **მამუკა არეშიძე** ამბობს, რომ **ენმ-ის ქმედება უკვე ყველა ზღვარს გადადის და იმდენს იზამენ, საზოგადოება საბოლოოდ მათ თავიდან მოშორებას ინატრებს. ნაციონალების მხრიდან ყოველდღიური დესტრუქცია და უაზრო წივილ-კივილი, ისედაც დაძაბულ მდგომარეობაში, ათასი პრობლემებით შეწუხებულ მოქალაქეებს მათდამი ანტაგონიზმურად განაწყობს. მსგავსი ინციდენტები უკანასკნელი არ იქნება, რაც სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს.**

„ენმ-ის დღის წესრიგი სწორედ მსგავსი დესტრუქციული ქმედებების განხორციელებაა, რამაც შესაძლოა, ოპოზიციური პარტიების მიმართ ანტაგონიზმი გამოიწვიოს. საზოგადოების მხრიდან აგრესიის სამიზნე არა მხოლოდ ნაციონალები, არამედ მთლიანად ოპოზიცია გახდება. თუ „ნაციონალური მოძრაობის“ მეთოდებს ზუსტად განვსაზღვრავთ, დავინახავთ, რომ საკრებულოებში მსგავსი პროცესები კვლავ გაგრძელდება და 26 ნოემბრის ინციდენტი უკანასკნელი არ არის. ამიტომ უნდა ველოდოთ, რომ ეს ადამიანები იქ სამუშაოდ და მოქალაქეების პრობლემების მოსაგვარებლად კი არ იქნებიან, არამედ მუდმივად დესტრუქციის მოსაწყობად.

„შექმნიან ამინდს, რომ ქვეყანაში დაძაბულობაა და ხალხი მუდმივად ამ სტრესში ეყოლებათ. საქმე ის არის, რომ ენმ ცამდე მართალიც რომ იყოს, უკვე ყელში ამოუვიდა საზოგადოებას. მათი დესტრუქციული ქმედებები. მინდა სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა გაითვალისწინონ, მსგავსი პროცესები გამოიწვევს ზოგად ანტაგონიზმს ოპოზიციური პარტიების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას ბევრი რამ აქვს გასაკრიტიკებელი. ამ შემთხვევაში, როგორც ვიცი, გასაკრიტიკებელი არაფერია. კანონს ხელისუფლება არ არღვევს და ესენი რაზე ყვირიან, ხალხი ვეღარ იგებს“, — განაცხადა არეშიძემ.

ლიკა ბერიკაშვილი

სინათლის სიბნელეზე გამარჯვების დღესასწაული

„ებრაელთა თემს საქართველოში, ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში დაბრუნებულ ჩვენს თანამოძმეებს, მთელ ებრაელ ხალხს გულითადად გილოცავთ ხანუქას – სიკეთის გამარჯვების, განწმენდისა და განახლების დიდ დღესასწაულს“, – აღნიშნულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გავრცელებულ გუშინდელ განცხადებაში.

როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, ქართველთა და ებრაელთა ათასწლოვანი, უნიკალური ურთიერთობა ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის მეგობრობის საუკეთესო მაგალითია.

„ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეულ ებრაელ თემს ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ჩვენი საერთო სამშობლოს აღმშენებლობაში. ვუერთდები თქვენს საზეიმო განწყობას და კეთილდღეობას, მშვიდობასა და ბედნიერებას გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს“, – აღნიშნულია პრემიერის განცხადებაში.

იუდეველები ხანუქას, სინათლის სიბნელეზე გამარჯვების დღეს ზეიმობენ – ელინელთაგან შეურაცხყოფილი ტაძრის განახლების (ძვ. წ. II ს.) გასახსენებლად და იმ სასწაულის აღსანიშნავად, როცა ტაძარში აღმოჩენილი ერთი დღის სამყოფი წმინდა ზეთი რვა დღის განმავლობაში ენთო. შესაბამისად, დღესასწაული 8 დღეს გრძელდება და სასანთლეზე (მენორაზე) თითო სანთელი ინთება.

დაგენაცვლეთ!

მეცნიერებით გაგრძელებული ბავშვობისდროინდელი მეგობრობა და სიყვარული

პროფესორი დავით ბოთერა (ბოთერაშვილი), ლალი გულედანი (ქართველი მკვლევარი), თამარ ლომთაძე, ნაჰუმ რაჩევსკი (მერის მოადგილე), შოთა წვენიაშვილი (ქორეოგრაფი, მსახიობი), ალონა ეისენბერგი... გადაღებულია წმიდა მიწაზე.

გუშინ, 28 ნოემბერს ხანუქა დაიწყო. ხანუქა ებრაელთა ტრადიციული დღესასწაულია. გულწრფელად ვულოცავთ და პატივს მივაგებთ მათ უძველეს ტრადიციებსა და ისტორიას...

უძველეს ებრაელთა საქართველოში ცხოვრებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამბობენ, იმ ქვეყანათა შორის, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, საქართველო გამორჩეული იყო ყოველთვის: აქ ურთიერთდამოკიდებულება ქართველებსა და ებრაელებს შორის მხოლოდ სიყვარულსა და მეგობრობაზე იყო დამყარებული. ვისაც ებრაელთა გვერდით უცხოვრია, დამეთანხმება ამაში. მხოლოდ ამგვარ ტრადიციულ დღესასწაულებზე შეიძლება გვეგრძნო, რომ ჩვენ სხვადასხვა ტრადიციების წარმომადგენლები ვართ. ვერც კი ვფიქრობდით, რომ სხვადასხვა ერის შვილები ვიყავით. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როცა დაიწყო ისრაელში მასობრივი წასვლა, მაშინ გავაცნობიერეთ მთელი სიგრძე-სიგანით, რომ სხვადასხვა ერის შვილები ვართ; გავაცნობიერეთ და გული დაგვწყდა, დგებოდა ჟამი ჩვენი განშორებისა... ამ განშორების სიმძიმეს განსაკუთრებით მაშინ ვგრძნობდით, როცა ისრაელში ჩავიდოდით ან ისრაელიდან გვესტუმრებოდნენ... ბავშვობაში ჩასახული და მეგობრობა-მეზობლობაში განმტკიცებული სიყვარული კიდევ უფრო მძაფრდებოდა...

ერთ ქართველ გოგონაზე მინდა გიამბოთ...

თამარ ლომთაძე ქუთაისში ებრაელთა უბანში დაიბადა და გაიზარდა. იტყვის ხოლმე, გარჩევა იმისა, ვინ იყო ქართველი და ვინ ებრაელი, არ გვქონდა სამეზობლოშიო; ჭირიც ერთი გვქონდა და ლხინიც. როცა თამარი წამოიზარდა, მაშინ იწყო დაცარიელება უბანმა ებრაელებისაგან... ჯერ ნელ-ნელა, მერე უფრო ინტენსიურად გაიკრიფნენ მეზობელ-მეგობრები ისრაელში და მოგონებადღა დარჩა ებრაული სითბო და სიყვარული... მეზობლისაგან თბილად ნათქვამი „დაგენაცვლე“... მძიმე იყო იმის გაცნობიერება, რომ ჩვენ შორის, ვინც ერთად გავატარეთ მთელი ბავშვობა და სიყმაწვილე, მონატრება ჩადგა...

პირველ ხანებში დაკავშირებაც ჭირდა... თითქმის ამ საუკუნის დასაწყისამდე...

მერე თამარ ლომთაძე ფილოლოგი გახდა; ქუთაისის უნივერსიტეტი დაამთავრა და სწავლა ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში განაგრძო, ენათმეცნიერების სპეციალობით, ახალი ქართული ენის კათედრაზე... მეცნიერ-ხელმძღვანელი როცა მის ინტერესებს გაეცანო, აშკარად გამოიკვეთა სადისერტაციო თემა „ქალაქური მეტყველების თავისებურებანი (ქუთაისის მაგალითზე)“... ასე დაუბრუნდა თამარ ლომთაძე თავის ძველ მეგობრებსა და მეზობლებს – ქართველ ებრაელებს: ქუთაისურ მეტყველებაზე საუბარი ქართველ ებრაელთა მეტყველების გათვალისწინების გარეშე არ მოხერხდებოდა... ქართველ ებრაელთა მეტყველება უაღრესად თავისებური, კოლორიტული, გამორჩეული ნაწილია ქალაქური მეტყველებისა...

დაიჩივლებდა ხოლმე თამარი: დღეს ქუთაისში დარჩენილ მცირერიცხოვან ებრაელთა მეტყველება აღარაა ტიპური ებრაული ქართული, ბავშვობაში რომ მესმოდა სამეზობლოსა თუ ბაზრის მიდამოებშიო...

და თამარ ლომთაძემ დაიწყო ადრე ჩაწერილი ტექსტების მოძიება. სამწუხაროდ, ასეთი მასალაც არ იყო ბევრი: კომუნისტების დროს ებრაელობაზე აქცენტის გაკეთება და მათი მეტყველების შესწავლა არ ხდებოდა (თითქმის იკრძალებოდა)... არც სამეცნიერო ლიტერატურა იყო შესაბამისი... ფაქტობრივ თამარ ლომთაძეს ცარიელ ნიადაგზე უწევდა პრობლემის დამუშავება...

აქ უკვე ამოქმედდა ძველი ნაცნობ-მეგობრობაც; გამოიკვეთა ახალი კავშირები და უკვე ფილოლოგიის დოქტორი თამარ ლომთაძე მჭიდრო ურთიერთობას ამყარებს ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებთან. თამარს მრავალგზის მოუწია ჩასვლა ისრაელში ქართველ ებრაელთა მეტყველების შესასწავლად.

აღფთოვანებული ყვება, თუ როგორ კარგად ინახავენ მშობლიურ ქართულ ენას ათეული წლების წინათ წასული ქართველი ებრაელები; იქ დაბადებული მათი შვილებიც როგორ კარგად საუბრობენ ქართულად; იმასაც კი გაარჩევ, მათი მშობლები, რომლებიც სიყვარულით ასწავლიან ქართულს, საიდან არიან ჩასულები – ქუთაისიდან, ონიდან თუ ახალციხიდან...

ის ფაქტი, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველება სხვა ქვეყნების ებრაელთა მეტყველებასთან შედარებით ცუდად იყო შესწავლილი, თამარის მონდომებისა და დაუზარელი შრომის შედეგად შედარებით გამოსწორდა. მის კვლევებს ანგარიშს უწევენ საერთაშორისო დონეზე... ასეთია, ვთქვათ, არიელის უნივერსიტეტის პროფესორ რეუვენ ენოხის (რუბენ ენუქაშვილის) თანაავტორობით შესრულებული არაერთი შრომა... ასევე დიდი მოწონება ხვდა წილად მის მოხსენებებს საერთაშორისო კონფერენციებზე სხვადასხვა ქვეყანაში... წარმატებული იყო მისი მონაწილეობა ფოლკსვაგენის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო პროექტებში „სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ და „ებრაელთა იდენტობა საქართველოში გლობალიზაციის გარიჟრაჟზე“.

2016 წელს „უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით შესრულებული ერთობლივი კვლევებისათვის“ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა თამარ ლომთაძის ხელმძღვანელობით შედგენილმა პროექტმა „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“... პროექტი წარმატებული გამოდგა და დიდი აღიარებაც მოიპოვა. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის, სამეცნიერო კრებულის „ებრაელთა ენების ჟურნალი“ მთავარი რედაქტორის და ებრაელთა ენების ვებგვერდის დამფუძნებლის სარა ბენორის თხოვნითა და რეკომენდაციით, თამარმა ებრაელთა ქართულს ადგილი მსოფლიოში გაფანტულ ებრაელთა სხვა ნაირსახეობებს შორისაც დაუმკვიდრა. ამჟამად რუსთაველის ეროვნულ ფონდში წარდგენილია მისი პროექტი „ქართველ ებრაელთა მეტყველების სტატუსი და მისი ადგილი ქართულ ენობრივ სივრცეში“. ველოდებით, რომ აქაც გაიმარჯვებს და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი შეემატება ქართულ-ებრაულ ენობრივ ურთიერთობას... და წარმატებით გაგრძელდება ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლა...

ასევე ნაყოფიერად გაგრძელდება თამარ ლომთაძის სამეცნიერო საქმიანობა ამ მიმართულებით, რომელსაც ქუთაისში, ებრაელების უბანში ჩასახული სიყვარული და მეგობრობა დაედო საფუძვლად, 26-საუკუნოვანი მეგობრობა, რომელიც არასოდეს დასრულდება...

სპარტაკ ქობულია,
მამუკა ვაშაკიძე.

103 წლის

საქართველოს
რესპუბლიკა
ბაბოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჩმინდა საქმეში, ბოგბბიც ბეჭდვები სიდყვაა, ტყეიღებით და ჭიბებით ბუბთის გადანა ყვეღა უკაბისბბაზე უსამაგღოსია.

შენი გაზეთია!

1918 წლის 25 ივლისს დაარსებული პირველი დამოუკიდებელი მაშინდელი მთავრობის მოამბე „საქართველოს რესპუბლიკა“ რის ვაი-ვაგლახით დღესაც გამოდის!

რასაც აქ წაიკითხავ, ვერც ერთ სოციალურ ქსელში ვერ ნახავ, ვერც ერთი ქართული ტელეეკრანიდან ვერ მოისმენ!

გაზეთი მაინც შეუცვლელია, ოდნავ წიგნიერი კაცისთვის გაზეთის კითხვა სულის ბუნებრივი მოთხოვნილებაა!

კოვიდ 19-ის პანდემიამ, როგორც ყველაფერს, ჟურნალ-გაზეთების გავრცელებასაც დიდად ავნო, მკითხველმა იკლო, რეკლამამ იკლო, თითქმის არც ერთი პერიოდული გამოცემა არ იყიდება, უფრო ზუსტად, ძალიან ცოტა იყიდება! ბუნებრივია, ეს მომაკვდინებლად მოქმედებს ბეჭდვურ მედიაზე! ერთადერთი გზა, რაც გადაარჩენს ქართულ პრესას, ის არის, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ, ჭკუადამჯდარმა ხალხმა გამოძებნოს უმცირესი ფინანსური საშუალება და პირი იბრუნოს პრესისკენ, ყოველდღიურად იყიდოს ან გარკვეული დროით გამოიწეროს ესა თუ ის გამოცემა, იმათ შორის, რა თქმა უნდა, ყველაზე ძველი, სანდო და პრინციპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, 103 წლის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

გულწრფელად და დიდი სინანულით უნდა გითხრათ:

„საქართველოს რესპუბლიკა“ რომ რიგითი მკითხველის, ქართული ბიზნესის და დღევანდელი მთავრობის ტრადიციული უყურადღებობის გამო დაიხუროს, ერის საერთო სირცხვილია!

ეს იმაზე უარესია, რაც იმთავითვე შეურაცხადმა, გიჟმა და მავნებელმა მიხეილ სააკაშვილმა უქნა ქართულ პრესას, როცა 2007 წლის 10 აგვისტოს ქართველ ჟურნალისტთა მთელი არმია, 30-ზე მეტი რედაქცია თავისივე სახსრებით აშენებული პრესის სახლიდან – გამომცემლობა „სამშობლოდან“ დაუნდობლად გამოყარა!

სწორედ იქიდან დაიწყო ქართული ბეჭდვური მედიის დაღმასვლა და განადგურება! ნუ ვეჭამთ კიდევ ერთ საყოველთაო ეროვნულ სირცხვილს, ქართველებო!

გადაარჩინეთ ქართული პრესა!

იყიდეთ, გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“

ხელმოწერისთვის მიმართეთ: „ელვა.ჯი“, www.elva.ge; ტელ: 23822673; 2 382674; 577991651; 595 382626; „პლანეტა ფორტეს“ – 2 92 18 59; 599 947 311; 579 79 99 08;

მოგვმართეთ რედაქციაში, ვაჟა ფშაველას 48
ტელ: 599 797 679; 599 36 00 35;
ელ: ფოსტა: sakresp@mail.ru. sakresp@top.ge

ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს...



რევაზ სირაძის კრებულის კომპოზიციური რკალი მოიცავს მრავალფეროვან თემატიკას, იწყება მკითხველის როლის გამოკვეთით და სრულდება დუმილის ესთეტიკით. ამ ორ მნიშვნელოვან ცნებას, კატეგორიას შორის მოქცეულ საკითხთა წყება, შეიძლება ითქვას, ერთდროულად ქრონოლოგიურ პრინციპსაც ეფუძნება და თემატურსაც, მათ შორის კავშირი რეალისტურ-ლოგიკურიცაა და სიმბოლურიც. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ გამოცემაში იბეჭდება პირველად რევაზ სირაძის ჩანაწერები ბაჩკოვოს (პეტრიწონის) მონასტერში გატარებული დღეების შესახებ.

წიგნის სიცოცხლე სათაურიდანვე იწყებაო. სწორედ სათაური ააქტიურებს აღქმას, აღძრავს მკითხველში პირველ ასოციაციებს, გარკვეულ მოლოდინს. ამდენად, ახალი გამოცემისათვის სათაური შემთხვევით არ შეგვირჩევია. ბევრი ფიქრი არც დაგვჭირვებია, თითქოს თავისთავად მოვიდა ფრაზა, „ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს“.

ვიმედოვნებთ, აღნიშნული კრებული ერთგვარი გზამკვლევი, ორიენტირი იქნება იმ საკითხებზე დასაფიქრებლად, რომლებიც დღესაც აქტუალურია და აღძრავს „ფიქრს ფიქრზე“.

მეგზურად და ორიენტირად

(წიგნი-ფიქრი რევაზ სირაძისა)

„წმინდა ნინოს ცხოვრებას“ რევაზ სირაძე ქართული ჰაგიოგრაფიის სათავეში მიუჩენდა ადგილს, თავის დროზე დიდ ვნებათაღელვას რომ გამოიწვევდა სამეცნიერო წრეებში – ადვილად ვერ შეეგუებოდნენ „შუშანიკის წამებისათვის“ პირველობის ჩამორთმევას. მკვლევარის ეს მოსაზრებანი ჯერ კიდევ მანამ გახმაურდებოდა, ვიდრე საჯარო მოხსენებას წაიკითხავდა ამ თემაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მძაფრ პოლემიკას გამოიწვევდა.

წინა დღეებში მისი სტუდენტები შეატყობინებდნენ ბატონ რევაზს, ადვილად რომ არ ჩაივლიდა ის საჯარო მოხსენება, თუმც იგი ჩვეული სიმშვიდითა და აღუშფოთებლობით შეხვდებოდა მოსალოდნელ შემოტევებს და ახალგაზრდებს აუხსნიდათ, რომ:

მეცნიერის უპირველესი მოვალეობაა, იყოს წრფელი და მართალი საკვლევი თემისა თუ პრობლემის წინაშე და არ შეუშინდეს თუნდ მცდარი მოსაზრების გამოთქმასაც, რადგან თვით მცდარი შეხედულებაც თავის საქმეს აკეთებს – ბოლოსდაბოლოს გაირკვევა, რომ ამ მიმართულებით ძიების გაგრძელება მარცხისთვისაა განწირული, ეს კი სხვა მკვლევარს ხელს შეუწყობს უფრო სწორი გზის არჩევაში.

დღესდღეობით ეს მიმართება კვლევისადმი ყველაზე საიმედო მეთოდადაა აღიარებული დასავლურ მეცნიერებასა და აზროვნებაში – თვით მცდარ მოსაზრებასა და დასკვნასაც თავისი საპატიო ადგილი და როლი რომ ენიჭება.

ეს – თუ არ გამართლდებოდა რევაზ სირაძის ახლებური გააზრება ქართული ჰაგიოგრაფიის სათავისა. მაშინაც კი მისი ძიება დიდად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რაკიღა მეცნიერის ფიქრთა მდინარება, სავსე მევრგვარი მახვილგონივრული მიგნებით, ძალიან წაადგებოდა ამ ძეგლის კვლევას კერძოდ და ქართული ჰაგიოგრაფიის ცალკეულ მოტივთა გააზრებას საერთოდ.

არადა დღეისათვის რევაზ სირაძის ეს შეხედულება უკვე გაზიარებულია სამეცნიერო წრეებში და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ადგილი განსაზღვრულია ჩვენი ჰაგიოგრაფიის სათავეში.

კორნელი კეკელიძის მოწაფე კვლევისას უფრო პავლე ინგოროყვას გზას გაჰყვებოდა და სავსებით მართებულადაც ამიტომ შეაფასებდა თუნდ „რუსთველიანას“ შემოქმედის წვლილს რენესანსის თეორიის შემუშავებაში, კორნელი კეკელიძესთან ერთად რომ მოამზადებდა საფუძვლებს შალვა ნუცუბიძის იმ აღმოჩენისათვის, რომელიც თავის დროზე ძალიანაც გახმაურდებოდა და მის კვალობაზე შეიქმნებოდა მუსლიმური რენესანსის თეორიაც, ისედაც არაერთი უცხოელი მეცნიერი რომ მოეჭიდებოდა ამ აღმოჩენას, მერე და მერე კი როგორღაც მიბინარდებოდა ქართული რენესანსის კონცეფცია და რევაზ სირაძეს უნდა ედო თავს მისი აღორძინება, ასერიგად რომ დამშვენდებოდა მის სახისმეტყველებით ძიებებს – არამარტო ტერმინს გააცოცხლებდა და „სახეებით აზროვნებას“ სწორედ „სახისმეტყველებით“ ჩაანაცვლებდა, არამედ საფუძვლად დაუდებდა ქართული ესთეტიკის კვლევასა და წარმოჩენას, საბოლოოდ ესთეტიკის ისტორიად რომ აქცევდა, ისეთ პანორამულ სურათად, რაც არამარტო ფილოლოგებისათვის იქნებოდა მნიშვნელოვანი მოვლენა, არამედ მკითხველთა ყველა წრისა და ფენისათვის.

ესეც რევაზ სირაძის გამორჩეულობის ერთ-ერთი ნიშანი.

მისი ნარკვევები და მონოგრაფიები არამარტო გარკვეულ ეტაპს შექმნიდნენ, არამედ ცოცხალ საკითხავადაც დარჩებოდნენ, მეგზურად და ორიენტირად, ახალი თაობების სულიერ ჩამოყალიბებაში დიდ როლს რომ შეასრულებენ.

და აგერ მეტად სახიერი, თვალსაჩინო დასტური მისი ძიებების სიცოცხლისუნარიანობისა: „ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს“ – „არტანუჯის“ მიერ გამოცემული მოზრდილი კრებული – დახვეწილი გემოვნებითა და ღრმაგაზრდილი შერჩევის წყალობით შედგენილი **ანა ლეთოდიანის** მიერ, ნარკვევთა და სტატიათა წყებას იმ თვალსაზრისით რომ დაალაგებდა, რაც შეიძლება კანთიელად გამოკვეთილიყო მეცნიერის საკვლევ საკითხთა, გააზრებათა ფართო დიაპაზონი. კომპოზიციურ რკალს უნდა მოეცვა მრავალფეროვანი თემატიკა – დაწყებულიყო მკითხველის როლის გამოკვეთით და დასრულებულიყო დუმილის ესთეტიკით.

იხ. 9 გვ.

ამერიკაში „დიდი დეპრესია“ დაასრულა რუზველტმა, როცა შემოიღო საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამა, ღარიბაშვილმაც იგივე თქვა...

300 000 შრომისუნარიანი მოქალაქისთვის სამუშაო ადგილები გაჩნდება. პრემიერის შეფასებით, ეს ადამიანები აქამდე არ მონაწილეობდნენ ქვეყნის განვითარებაში და სოციალური დახმარების მძევლები იყვნენ. რეგიონებში, სადაც იყო საწარმოები, ფერმერები მუშახელს ვერ პოულობდნენ, რადგან ადამიანებს დღეში 50 ლარის აღებაც არ სურდათ იმის შიშით, რომ უშრომლად მიღებული სოციალური დახმარება არ შეწყვეტოდათ.

ამიტომ **ირაკლი ღარიბაშვილის** ინიციატივაა, ამ ადამიანების იდენტიფიცირება და მათთვის შრომის კულტურის გამომუშავება, მათი მენტალიტეტის შეცვლა. ადამიანებს უნდა გაუჩნდეთ არა უპერსპექტივობის, არამედ იმედის განცდა, რომ ისინი შეიძლება მუდმივ სამუშაოზე დასაქმდნენ.

კონკრეტულად, საუბარია უმუშევარი ადამიანების დასაქმებაზე ქარსაცავების აღდგენის საქმეში, ასევე, ტყეების გაშენებაზე, მუნიციპალიტეტებში, რაიონებში ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში ჩართვაზე. ამისთვის ერთდროულად ათასობით და ათიათასობით სამუშაო ადგილი შეიქმნება.

პრემიერი ამბობს, რომ ბევრი ადამიანი მსგავსი სამუშაოს საძებნელად მიდის უცხოეთში მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლებას მსგავსი სამუშაო შეუძლია შესთავაზოს ადგილზე, საქართველოში. ასეთ ადამიანებს შეიძლება მეორე დამატებითი სამუშაოც ჰქონდეთ და სოციალური დახმარება არ გაუუქმდეთ.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** კარგა ხანია საუბრობს დეპრესიიდან ადამიანების გამოყვანის საჭიროებაზე, რაც მათ დასაქმებას გულისხმობს და არა სახელმწიფოს დახმარების იმედად ყოფნას და გაზარმაცებას. დღეს დავით ზარდიაშვილი აცხადებს, რომ პრემიერის ინიციატივა ყოველმხრივ მისასალმებელია.

„ხშირად ვსაუბრობ ჰიბრიდულ საფრთხეებზე, ნარკომანიაც და ლუდომანიაც ასეთად განიხილება. ჰიბრიდულია ისეთი საფრთხე, რომელიც ობიექტური რეალობის საპირისპიროდ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს უქმნის სუვერენული ნების დათრგუნვის და მოსპობის საშიშროებას. ადამიანების ნება პარალიზებულია, თუკი ისინი ან წამალზე არიან დამოკიდებულნი, ან თამაშზე. ასეთივე მდგომარეობაში არიან სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებული ადამიანები, ისინი დეპრესიულ მდგომარეობაში არიან. იმისთვის, რომ საარსებო სახსრები მოიპოვონ, ზოგი მათგანი უძლურია ამ დამოკიდებულების გამო, ან იტყუებიან, თითქოს დახმარება სჭირდებათ. დახმარების იმედად დარჩენილნი ყველანაირ აქტივობაზე უარს ამბობენ“, — აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

მისივე განმარტებით, უმუშევრობის მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეთ, რადგან შრომის გარდა კეთილდღეობის შექმნა სხვას არაფერს შეუძლია: **„თუ არ იმუშავე, კარგად როგორ იცხოვრებ?! ამის გამო ერი დეპრესიაშია“.**

ირაკლი ღარიბაშვილი იმას კი არ ამბობს, გაჭირვებული ადამიანები დახმარების გარეშე დავტოვოთო, არამედ ამბობს, დახმარება სწორედ ის იქნება, საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნონ, რეალურ მოქმედებაში გადავიდნენ და ირწმუნონ, რომ შეუძლიათ, საკუთარი კეთილდღეობა შექმნან. ამ ინიციატივების შესახებ პირადად მეც დიდი ხანია, ვწერდი, რომ ალტერნატივა უნდა შეიქმნას. მავნე სისტემა, რომელიც ახალისებს არა შრომას, არამედ მათხოვრულ დახმარებას, უნდა შეიცვალოს. იგივე მოხდა, როცა შეერთებულ შტატებში იყო „დიდი დეპრესია“, რაც რუზველტმა დაასრულა, როცა შემოიღო საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამა. **ღარიბაშვილმაც იგივე თქვა, რაღაც უნდა გააკეთო, თუ შრომისუნარიანი ადამიანი ხარ. საკუთარი თანხის გამომუშავებას რომ დაიწყებ, შენს თავს დაუბრუნდება ფასი. მნიშვნელობა არ აქვს, თავიდან რა სამუშაოთი დაიწყებ, მთავარია, ამ რეჟიმში მოხვდე, სამუშაო მდგომარეობაში შეხვიდე. მანქანაც რომ დიდი ხანი გააჩერო, არ ამუშავო, გაფუჭდება, დაიჟანგება, გასაკეთებელი გახდება. ადამიანიც ასევეა“,** — აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა.

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი **ნანა კაკაბაძე** პრემიერის ინიციატივას გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევს. მისი აზრით, მნიშვნელოვანია ადამიანების დასაქმება დეპრესიიდან მათ გამოსაყვანად. ასევე, აუცილებელია აზარტული თამაშების შეზღუდვა, რადგან ამას მოჰყვება იმაზე მეტი უბედურება, ვიდრე ეს მოუტანა მსოფლიო პანდემიამ — კორონამ საქართველოს.

„უამრავმა ადამიანმა სწორედ თამაშების ნიადაგზე თავი მოიკლა, უამრავი ოჯახი დარჩა უსახლკაროდ, უშემოსავლოდ და შიმშილით გარდაიცვალა, რადგან აზარტულ თამაშებში წააგეს ყველაფერი. სიკვდილიანობის მასშტაბი და სიმძიმე ვერც კი განისაზღვრება, იმდენად დიდი უბედურებაა გამოწვეული აზარტული თამაშების ლეგალიზაციით ქვეყანაში. ამიტომ მისი აკრძალვა არის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნაბიჯი ქართული ოჯახების და იმ ადამიანების გადასარჩენად, ვინც ამ თამაშებზე იყვნენ მიჯაჭვულნი. შესაძლოა, ეს ინიციატივა ბევრად ადრე უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ამაზე თქმა, რომ დაგვიანებულია, არასწორია. დაგვიანებული არ შეიძლება იყოს, რადგან აკრძალვის წუთიდანაც ბევრ ოჯახს გადაარჩენს. თუმცა, რა თქმა უნდა, ვერ გააცოცხლებს იმ ადამიანებს, ვინც ემსხვერპლა ასეთი საშინელი კანონის არსებობას — აზარტული თამაშების ლეგალიზებას ამ ქვეყანაში“, — აღნიშნა ნანა კაკაბაძემ.

მოამზადა
მანანა ნოზაძემ

თენგიზ ცერცვაძე: კორონავირუსის ახალი შტამი საქართველოში არ უნდა დავუშვათ!



თენგიზ ცერცვაძის თქმით, ჯერ უცნობია ვრცელდება თუ არა კორონავირუსის ახალი შტამი „ომიკრონი“ „დელტა“ ვარიანტზე სწრაფად და იწვევს თუ არა უფრო მძიმე დაავადებებს. ამასთან, ჟურნალისტებთან საუბრისას თბილისის ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა აღნიშნა, რომ ჯანმოს სხვა შტამებისთვის „შემაშფოთებელის“ სტატუსი ასე სწრაფად არ მიუნიჭებიათ.

„წინა ოთხ შტამს — „ალფა“, „ბეტა“, „გამა“, „დელტა“, ჰქონდა მინიჭებული შეშფოთების სტატუსი, მაგრამ ასე სწრაფად ეს სტატუსი არცერთს მიუღია. ამის მიზეზი არის ის, რომ ძალიან ბევრი მუტაციაა, დაახლოებით 32 მუტაციას ამბობენ მარტო იმ ცილაში, რომლითაც ვირუსი ადამიანის ორგანიზმში აღწევს“, — ამბობს ცერცვაძე. მისივე განმარტებით, ამ ეტაპზე მეცნიერებს საკმარისი ინფორმაცია არ აქვთ იმისთვის, რომ არსებული ვაქცინების ეფექტიანობაზე დასკვნები გააკეთონ.

„ეს მაჩვენებლები ჯერ უცნობია, ვინაიდან ცოტაა ვირუსის ინფიცირების შემთხვევები და მეცნიერებს არ ჰქონიათ შესაძლებლობა, შეესწავლათ. უბრალოდ, მხოლოდ ვარაუდია, ვინაიდან მას მუტაციების დიდი რაოდენობა აქვს სწორედ იმ პროტეინში, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული ვაქცინის შედეგად გამომუშავებული ანტისხეულები და მონოკლონური ანტისხეულებიც, რომელიც აქტიურად გამოიყენება სამკურნალოდ, მათ შორის საქართველოშიც. არის გარკვეული მოლოდინი და შეშფოთება, ხომ არ იქნება ნაკლებად ეფექტური ვაქცინა მათ მიმართ. ჯერ ეს შტამი არ გამხდარა დომინანტი არცერთ ქვეყანაში, ჯერ შემთხვევების 99% „დელტაზე“ მოდის. ჯერ ერთეული შემთხვევებია დაფიქსირებული, უბრალოდ ძალიან მაღალია ამ შტამის შესაძლო გავრცელებით ჯანმოს შეშფოთება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს შტამი საქართველოში არ დავუშვათ. თუ ამას ვერ ავცდებით, რაც შეიძლება გვიან შემოვიდეს, როდესაც პანდემიის ძირითად ტალღას დავძლევთ“, — განაცხადა ცერცვაძემ.

ამირან გამყრელიძე: ახალი შტამი რამდენად უფრო აგრესიულია, ამაზე ჯერ დაკვირვებაა საჭირო

რამდენიმე სამხრეთაფრიკული ქვეყნიდან შემოსულ პირებს ან სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, რომელთაც ბოლო 14 დღის განმავლობაში ამ ქვეყნებში მგზავრობის ისტორია ჰქონდათ, ქვეყანაში შემოსვლისთვის სავალდებულო კარანტინი ექნებათ 14 დღე, — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ქვეყანაში შემოსვლისთვის ასევე აუცილებელი იქნება, პისიარტესტი იყოს ნეგატიური.

„14 დღე უნდა იყვნენ კარანტინში, კარანტინიდან გათავისუფლებაც იქნება მათთვის მხოლოდ, მაშინ როდესაც პისიარტესტი იქნება უარყოფითი. რაც შეეხება ახალ შტამს, ჩვენ ინფორმაცია გვაქვს ის, რასაც აქვეყნებს ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრი, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და ევროპის დაავადებათა კონტროლის ცენტრი. თითოეული ეს უწყება მიიჩნევს, რომ ეს არის საკმაოდ შემაშფოთებელი და პირველივე დღიდან მიანიჭეს მას ეს სახელწოდება. წინასწარი მონაცემებით, ის უფრო სწრაფად ვრცელდება, უფრო მეტი რეინფიცირების უნარი აქვს, მაგრამ რამდენად უფრო აგრესიულია შტამი, რამდენად მძიმე დაავადებებს იწვევს, რამდენად უფრო მაღალ სიკვდილიანობას იწვევს, ამაზე ჯერ უნდა იყოს დაკვირვება. ასევე, ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორ ფარავენ დღევანდელი მოქმედი ვაქცინები ამ შტამს“, — განაცხადა გამყრელიძემ.

საოკუპაციო ხაზთან მოწყობილი ვაქცინაციის ახალი ცენტრი კარგად მუშაობს...

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანში საოკუპაციო ხაზთან არსებული საზაფხულო სამედიცინო კარავი, სადაც ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული მოქალაქეების სწრაფი ტესტირება მიმდინარეობდა, ზამთრისთვის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო კონტეინერით ჩანაცვლდა. ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, სამედიცინო პუნქტში, ტესტირებასთან ერთად, „კოვიდ-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციაცაა შესაძლებელი. ცენტრის მუშაობას ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური და სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ.

„სოფელ ფახულანში საოკუპაციო ხაზთან ვაქცინაციზაციისა და ტესტირების პუნქტის განთავსება ჯანდაცვის სამინისტროსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ჩართულობით განხორციელდა“, — აღნიშნავენ ჯანდაცვის სამინისტროში.

ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს...

(მეშვიდე გვერდიდან)

ანა ლეთოდიანი წინათქმაში სა-განგებოდ გამოჰკვეთდა, აზროვნებისა და კვლევის სახისმეტყველებითი მეთოდი, რასაც ემყარებოდა რევაზ სირაძის ნაშრომები, თავის დროზე სიახლე რომ გახლდათ; ხოლო რაკიღა სახისმეტყველებითი კვლევის მიზანი კულტურის სახეობრივი აღქმა-გააზრება, მისი დაფარული შრეების წინ წამოწევაა, სწორედ ამ მიდგომის საფუძველზე რომ იკვლევდა მეცნიერი უპირატესად ქართული ქრისტიანული მწერლობის, კულტურისათვის მნიშვნელოვან არაერთ საკითხს. საბოლოოდ კი ასე უნდა შექმნილიყო რევაზ სირაძის სკოლა, რაც თვალნათლივაა გამოკვეთილი და აწ უკვე მისი მოწაფეები აგრძელებენ იმ ძიებებს, რომლის ერთ-ერთი შთამბეჭდავი მონაკვეთიცაა ეს წიგნი, სახელწოდებაც ასე მარჯვედ რომ არის შერჩეული, ყველაზე უკეთ მისადაგებული მეცნიერის პიროვნულ ბუნებასაც და კვლევის მეთოდსაც.

ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს!..

ამ ფრაზის თქმაც ჰყვარებოდა მკვლევარს, ახლა მისი წიგნის გარეკანსაც რომ ამშვენებს.

ეს წიგნი მისწრებაა სკოლის თუ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგთათვის.

ნარკვევი „მზის ესთეტიკა“ კი არა დამატებით საკითხავად, არამედ სულაც ქრესტომათიაში უნდა შევიდეს ზოგიერთ სხვა გამოკვლევასთან ერთად.

ამ ორიოდე წლის წინათ ლია კარიჭაშვილის თაოსნობით ერთ კრებულად მოიყრიდა თავს მოგონებანი და სტატიები რევაზ სირაძეზე: **„მშვენიერების ძიებაში“** – ასე ხელშესახებად რომ გამოჰკვეთდა მის პიროვნულ და შემოქმედებით პორტრეტს, მის ბუნებასა და აზროვნების მანერას – მისთვის ნიშანდობლივი ფსიქოლოგიური რეალიებითა და ნიუანსებით.

და ახლა თვითონ ბატონი რევაზის წიგნს უნდა გამოეკვეთა მისი პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტი, მისი ბუნება და აზროვნების მანერა – მისთვის ნიშანდობლივი ფსიქოლოგიური რეალიებითა და ნიუანსებით.

„ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს“ მიეკუთვნება კრებულთა იმ ყაიდასა და რანგს, ძალდაუტანებლად რომ გაგვამეორებინებს უოლტ უიტმენის სიტყვებს, თავის „ბალახის ფოთლებს“ ყველაზე ზუსტად და ლაკონიურად ასე რომ გაიაზრებდა და შეაფასებდა:

მეგობარო, ეს არ არის წიგნი,
ხელი ახლე და კაცს შეეხები.

ხელს ახლებთ რევაზ სირაძის ამ წიგნსაც და... კაცს შეეხებით – თავისი დახვეწილი, ფაქიზი სულით, თავისი ფიქრის სისუფთავითა და დაუმცხრალობით, თავისი დიდი, ფართო, მრავლისდამტევი გულით, თავისი შეუპოვარი სწრაფვით – უსათუოდ გადაეხედა ხილული თუ უხილავი მიჯნების იქით, საითაც შენც გეწევა და გაგულიანებს თუნდ ამ კრებულითაც, რომელიც სავსეა ერთიერთმანეთზე მახვილგონივრული დაკვირვებებით, შთამბეჭდავი მიგნებებით, ღრმააზროვანი აღმოჩენებითა და ფიქრით, ფიქრითა და ფიქრით, რომელიც ასე მნიშვნელობს!..

როსტომ ჩხეიძე.

...ასე ვერავინ ასწავლიდა „ფიქრს ფიქრზე“

გამომცემლობა „არტანუჯმა“ შესანიშნავი საქმე გააკეთა – გამოსცა რევაზ სირაძის ლიტერატურულ წერილთა კრებული „ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს“ (შემდგენელ-რედაქტორი – ანა ლეთოდიანი), რომლის პრეზენტაცია გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წიგნის წარდგენა გამოჩენილი მეცნიერის დაბადების დღეს დაემთხვა.

ბატონი რეზო ჩემი მასწავლებელი იყო (და არის). უკვე დიდი ხანია, საკუთარი მოსწავლეები და სტუდენტები მყავს, ახალგაზრდობიდან მოყოლებული მთელი ცხოვრება ვასწავლი ახალ თაობას და ერთადერთი კაცი, ვინც ისევ მაგრძნობინებს თავს მოსწავლედ, რეზო სირაძეა – ჩემთვის დიდად ძვირფასი ადამიანი.

ახლაც მისი წიგნი რომ შევიძინე (დანარჩენი, რაც დაუწერია, ყველა მაქვს – მისივე გულთბილი და დაუვიწყარი წარწერებით) და ხელი გადავუსვი, თითქოს უფროსი მეგობრის სულს, ფიქრსა და ხმას შევეხე – წარმოსახვა და შეგრძნება ხშირად გვიცვლის ხოლმე რეალობას.

რეზო სირაძემ ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ხედვისა და გამოხატვის ახალი სტანდარტები დაამკვიდრა. მისი კლასიკური ნაშრომების **(ქრისტიანულ კულტურაზე, ესთეტიკაზე, ისტორიაზე, ვეფხისტყაოსანზე, დავითიანზე...)** გარეშე თანამედროვე საქართველოს ფილოლოგიური კულტურა სრულიად წარმოუდგენელია. მისი ფიქრი უნდა ხელახლა და სრულად დაინახოს ქართულმა სკოლამ. მისი წიგნები უნდა განიხილებოდეს აკადემიურ თუ პოპულარულ თავყრილობებზე. მისი ფიქრი განმავითარებელი ფიქრია, რომელსაც სარგებლობაც მოაქვს და ორიგინალურობის სიამოვნებაც.

ამ კაცმა შექმნა ლიტერატურული სკოლა, რომლის წიაღში ორი მთავარი სიტყვაა „ფიქრი ფიქრზე“. ამ სკოლას დღეს ბევრი ადეპტი ჰყავს. თავს ბედნიერ მოვალეობად ვუთვლი, მათ რიცხვს საკუთარი თავიც მივათვალო.

ის მომღიმარ სიბრძნეს ქმნიდა. ამასთან, ჭეშმარიტებასთან ერთად, მისთვის მთავარი სიტყვები „მშვენიერება“ და „გემოვნებაც“ იყო.

ვისაც რეზო სირაძის არაჩვეულებრივი ადამიანური ხიბლი, სიმღერა თუ მოულოდნელად დაბადებული ხუმრობები ახსოვს, ჩემთან ერთად იმასაც გაიხსენებს, სუფრასთან მისი სადღეგრძელოს დროს ოდნავი გადაჭარბების შემთხვევაშიც კი როგორ იტყოდა: „მოკლედ და ბუნდოვნად თქვი“. თვითირონია მასში იმდენად ბუნებრივი და ძალდაუტანებელი იყო, შენზე რასაც იტყოდა, საწყენად რომ მიგეღო, დროისა და სივრცის კონტექსტიდან სრულად ამოვარდნილი იქნებოდი.

უშურველად გიწილადებდა საკუთარ ცოდნასა და ხედვებს, გულწრფელად უხაროდა მოწაფეთა თუ სხვათა კარგი აზრები, ხანდახან მკაცრიც იყო, მაგრამ მე ამას სხვას ვერაფერს ვუწოდებ, თუ არა – „კეთილ სიმკაცრეს“.

ამ ადამიანთან ურთიერთობა, ერთდროულად, გონების დღესასწაულიც იყო და გულისაც.

წიგნში, რომელიც მნიშვნელობს, არის ერთი წერილი, რომელსაც **„დუმილის ესთეტიკა“** ჰქვია. აქ დასაწყისშივე (გვ. 543) ვკითხულობთ:

„დუმილი არარაობა როდია. დუმილი უხმაურო არსებობაა. ესაა უხმაურობის შეგრძნება. დუმილი რომ არარაობა იყოს, მისი შეგრძნება არ იქნებოდა და არც იდუმალების ესთეტიკა. „არარაისაგან ხომ არ იქმნების არარაიცა“. დუმილს აქვს თავისი სივრცე და თავისი დრო. სადაც რაიმე ხმა ისმის, მის საპირისპიროდ დუმილიც იგულისხმება. საცა დუმილია, მოსალოდნელია რაღაც ხმა. დუმილი ამ ხმის არყოფნაა, მისი მდუმარებაა. დუმილის შეგრძნება ნიშნავს, რომ შეიძლება რაღაც ხმა მოვიდეს. თუ რაიმე ხმა მოსალოდნელი არაა, იქ დუმილიც არ შეიგრძნობა“.

რეზო სირაძის ყველა წიგნი დუმილის მეტყველებაა – „მეტყველი დუმილია“.

ეს ადამიანი ასე აზროვნებდა – ხედავდა, ჩვენთვის გამოხატავდა და ალაპარაკებდა საგანთა, მოვლენათა და კაცთა იდუმალებას.

და ასე ვერავინ ასწავლიდა „ფიქრს ფიქრზე“.

გია მურღულია

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „არქი დეველოპმენტის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „არქი დეველოპმენტი“ (ს/ნ 404979779), თბილისი, ვაკე-საბურთალო, ყიფშიძის შეს. №15, სართული 3

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №7, სართული 9, ბინა №40 (საკადასტრო კოდი: 01.14.07.003.021.01.01.520).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 246131.96 ლარი დღგ-ს ჩათვლით;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 26 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 9 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP75599021;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 755990
6. **მოვალე:** გიორგი ლებანიძე (პ/ნ 01008063594), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №7, სართული 9, ბინა №40.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP75599021; ლოტის ნომერი: 755990).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 9 დეკემბრის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გრიგორი ცხომარიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გრიგორი ცხომარია (პ/ნ 62001000448), თბილისი, გლდანის „ა“ მ/რ, კორპუსი 3-ის მიმდებარედ, სართ. 7, ბინა №60 (თბილისი, ხიზაბავრის 1 გასას. №6, სართ. 7, ბინა №60)

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, გლდანის „ა“ მ/რ, კორპუსი 3-ის მიმდებარედ, სართ. 7, ბინა №60 (თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის 1 გასას. №6, სართ. 7, ბინა №60) (ს/კ 01.11.12.018.175.01.01.060).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 87158.51 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 26 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 9 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP75599121;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 755991
6. **მოვალე:** მარინე მელაძე (პ/ნ 01001034957), თბილისი, გლდანის მასივი, 3ა მ/რ, №3ა, ბინა №77.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP75599121; ლოტის ნომერი: 755991).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 9 დეკემბრის 10:00 საათამდე.

◎ მუნდიალ – 2023

პრინციპულ ბრძოლაში

როგორც მოგეხსენებათ, გაისად ჩეხეთთან, იტალიასა და გერმანიასთან ერთად ევრობასკეტს ვუმასპინძლებთ, რომელიც საქართველოს ნაკრებისთვის ზედიზედ მეხუთე მსგავსი გამოცდა იქნება, თუმცა კიდევ უფრო პრესტიჟული ტურნირი – მსოფლიოს ჩემპიონატი 2023 წელს იაპონიაში, ინდონეზიასა და ფილიპინებში გაიმართება. სწორედ აზიური ფორუმის საგზურისთვის ბრძოლაში ჩავებით თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნებზე პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შესაბამისად შეკრებილი მხოლოდ 3 ათასამდე ქომაგის თანდასწრებით.

საქართველო - უკრაინა 88:83

(28:24, 17:22, 19:20, 24:17)

საქართველო: მაკფადენი – 27 (9 პასი), შერმადინი – 23, შენგელია – 16 (13 მოხსნა), ბურჯანაძე – 11, ფევაძე – 4, ბაქრაძე – 3, ბერიშვილი – 2, ჯინჭარაძე – 2 ქულა. ითამაშა აგრეთვე ბოქოლიშვილმა. მწვრთნელი – **ილიას ზუროსი.**

აქამდე გამართულ შეხვედრებში მეტოქესთან მინიმალურ უპირატესობას ვფლობდით, ხოლო მათ შორის თითო-თითო მოგება-წაგება კონტინენტის ჩემპიონატებზე გავცვალეთ.

მართალია, რამდენიმე ნბასა და ევროლიგაში მოთამაშე ლიდერი ორივე გუნდს გვაკლდა, მაგრამ „ჯვაროსნებმა“ მატჩის წინ ფსიქოლოგიური დოპინგი მაინც მიიღეს.

კერძოდ, შესარჩევი რაუნდის სტარტამდე ფიბამ ტოპათეული ორ პოზიციაზე გამოარჩია და საამაყოა, რომ ცენტრებში **გიორგი შერმადინი,** ხოლო მძიმე ფორვარდებში **ბექა ბურჯანაძე** დაასახელა ელიტის წევრთა შორის.

გარდა ამისა, კიდევ ერთხელ გაიბრწყინა „ჯვაროსანთა“ კაპიტანმა **თორნიკე შენგელიამ,** რომელმაც სამშობლოში ჩარტერული ავიარეისით გამოფრენამდე სულ რაღაც 24 საათით ადრე ღირსეული წვლილი შეიტანა ცსკა-ს მიერ ევროლიგაში მიუნხენის „ბაიერნის“ დამარცხებაში – 77:74 (30 წუთში 12 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი, სარგებლიანობის კოეფიციენტი – 17). იგი როგორც შედეგიანობით (16), ისე მქკ-ით (22) მხოლოდ თანაკლუბელ კლაიბერნს ჩამორჩა. არმიელებს 7 გამარჯვების წილ 5 მარცხი მოუგროვდათ და 2 დეკემბერს მეცამეტე ტურში „პანათინაიკოსს“ ელადაში ეწვევიან.

მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ, ალბათ, დაღლილობამ განაპირობა ჩვენი მთავარი იმედისა და შერმადინის მიერ შესვენებამდე დაშვებული უჩვეულოდ ბევრი შეცდომა, მაგრამ კრიტიკულ ვითარებაში, ტრადიციისამებრ, სწორედ მათ თქვეს პარტნიორებთან შედარებით ყველაზე ომახიანი სიტყვა.

აღსანიშნავია აგრეთვე წარმატებაში ჩვენი ეროვნული სუპერლიგის წარმომადგენელთა შეტანილი წვლილიც, ბრძოლის სიმძაფრეზე კი შემდეგი ფაქტი მეტყველებს: კატა-თაგვობანას განმავლობაში მდევარი 15-ჯერ(!) შეიცვალა.

I პერიოდი. საღამოს გმირმა **თად მაკფადენმა** 5(!) სამქულიანი ჩააგდო, 6-ქულიანი უპირატესობა მოგვიტანა და პეტროვს 3 ჯარიმა ავკიდეთ, მაგრამ ვერაფრით შევაჩერეთ ბლიზნიუკი.

II პერიოდი. უკვე სიდოროვმა და პეტროვმა აიწყვიტეს პერიმეტრიდან, შენგელიამ კი მე-5 წუთზე მაშინ იტკინა ფეხი, როცა, როგორც იქნა, ზედიზედ 2 შეტევა დაასრულა შედეგიანი ტყორცნით, აქედან 1-ჩატენვით.

დიდი შესვენების წინ სტუმართა 7-ქულიან გაქცევას (43:36) მაკფადენის მორიგი გააქტიურება მოჰყვა (1+1+3) და თითქმის დავეწიეთ მოწინააღმდეგეს – 45:46.

III პერიოდი. მართალია, შერმადინმა გამოიღვიძა, მაგრამ გაგვიჭირდა ჩვენი ძველი ლატვიელი ნაცნობი მწვრთნელის აინარს ბაგატსკისის დამოძღვრილ ნატურალიზებულ ამერიკელ რენდლთან გამკლავება – 53:59. საბედნიეროდ, სარბიელზე დაბრუნებულ შენგელიას, შერმადინისა და მაკფადენის (მე-7 სამქულიანი ჩააგდო) ძალისხმევით შანსი შევინარჩუნეთ.

IV პერიოდი. ზემოთ უკვე გაგაცანით გადამწყვეტ ჩხვლეტათა ავტორთა ვინაობა, რომლებსაც უმნიშვნელოვანესი სამქულიანითა და დაცვაში რამდენჯერმე ყოჩაღობით **გივი ბაქრაძე** შეეშველათ.

მოკლედ, აქამდე მიუღწეველი მიზნისკენ პირველი სოლიდური ნაბიჯი გადადგმულია. შეგახსენებთ, რომ მეორე ჯგუფურ კვალიფიკაციაში ჩვენი კვარტეტიდან სამი საუკეთესო ნაკრები გავა, ხოლო იქ პირველი ეტაპის ქულები გადაგვყვება და, სავარაუდოდ, რუსეთთან, იტალიასთან, ნიდერლანდებთან ან ისლანდიასთან მოგვიწევს ურთიერთობის გარკვევა.

მათი მიკროტურნირის პირველ დღეს რუსეთმა „სკუადრა აძურას“ სძლია, ხოლო „ტიტეების ქვეყანა“ ასევე შინ ისლანდიასთან შერცხვა.

რაც შეეხება მეორე ტურს, დღეს ფავორიტი ესპანეთი მიგვიღებს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავთკრებული აკლია, მაინც მრისხანე ძალად გამოიყურება, რაც ჩრდილოეთ მაკედონიაში განავარდებით დაამტკიცა – 94:65.

აღნიშნული შეხვედრის პირდაპირი ტელერეპორტაჟი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე 23 საათსა და 30 წუთიდან დაიწყება.

◎ სკანდალი

შტანგის ვარამი

ტოტალიზატორმა ფეხბურთი დაასამარაო – ამბობდა მარადონა.

ვის, ვის და კოკაინის ძმობილს ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ არანაკლები დოზით სპორტი დოპინგმაც წალეკა და მან ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ დღის წესრიგში ზოგიერთი სახეობის ოლიმპიადის პროგრამიდან ამოღების საკითხიც კი დადგა.

ერთ-ერთი მათგანია ჩვენთვის მედლების ბეღლად ქცეული ძალოსნობა, რომელშიც სკანდალები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. გამონაკლისს არც ფინიშის სწორზე გასული სეზონი წარმოადგენს.

დიახ, ამ დღეებში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ტესტების შედეგად გამოჭერილი 13 შტანგისტის ნუსხა გამოქვეყნდა და, სამწუხაროდ, მათ შორის ჩვენი ორი პრიზიორიც ფიგურირებს – **რაულ ცირეკიძე** („ოქრო“) და **ირაკლი თურმანიძე** („ბრინჯაო“), რომლებმაც კარიერა უკვე დასრულეს.

კი მაგრამ, სინჯების 9 წლის შემდეგ აღება რა უბედურებაა ან შესაბამისი პრეპარატები ხომ ბოლო პერიოდში აიკრძალაო, გაიჟღერა უკვე ქართულ მედიაში, არადა, დაგვეთანხმებით, ვადის ხანდაზმულობსა თუ სამედიცინო მანიპულაციებიდან თავის დაძვრენაზე ყურადღების გამახვილებაზე აქტუალური თვით აღნიშნული მანკიერების სიღრმეებში წვდომის მცდელობა უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჭირი თავს არც მომავალში დამალავს. **შეგახსენებთ, რომ ამ მიზეზით თავის დროზე დისკვალიფიკაცია თვით გიორგი ასანიძემ და ლაშა ტალახაძემ მოიხადეს.**

ბოკლად

სოჭში გამართული გრან პრის გამარჯვებული ფიგურულ სრიალში (ერთეულ ვაჟთა თანრიგი) მორის ყვითელაშვილი გახდა.

* * *

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა უფაში პირველად მოიგო ევროპის შერეული (3-3 ქალი და კაცი) გუნდური ჩემპიონატი. ფრანგებისა და ავსტრიელების შემდეგ ნახევარფინალში „ჯვაროსნებმა“ თურქებს, ხოლო ფინალში ნიდერლანდელებს სძლიეს. „ოქროს“ ქულა საბა ინანეიშვილმა (+100 კგ) მოგვიტანა. იმავე დღეს აბუ დაბის გრანდ სლემზე ლაშა შავდათუაშვილმა „ბრინჯაო“ მოიპოვა.

* * *

კუპა ლიბერტადორესის ბრაზილიურ ფინალში „პალმეირასმა“ დამატებით დროში 2:1 დაამარცხა „ფლამენგო“ და ზედიზედ მეორედ, სულ კი მესამედ მოიხვეჭა სამხრეთ ამერიკის ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო საკლუბო ტიტული. ტურნირის ისტორიაში რეკორდსმენები არგენტინული „ესტუდიანტესი“ (7) და „ბოკა ხუნიორსი“ (6) არიან.

◎ მოვლენის შემდეგ

The Guardian

რაგბის სამშობლომაც დაგვაფასა

მართალია, ნოემბრის ტესტები უარყოფითი შედეგით დავასრულეთ, მაგრამ მშრალი სტატისტიკა ყოველთვის როდი ასახავს ძალთა რეალურ თანაფარდობას. **დიახ, პროფესიონალ შემფასებელთათვის მთავარი თამაშის ხარისხია და არა ტაბლოზე ატვირთული ციფრები.**

მაგალითად, პოპულარული ინგლისური გამოცემა „გარდიანი“ მიიჩნევს, რომ სადღეისოდ „ბორჯღალოსნები“ პრინციპულ კონკურენტ იტალიელებზე ძლიერები არიან, რასაც განვლილი სპარინგების შემდეგ დასახელებულ ნომინანტთა საუკეთესო ექვსეულით ადასტურებს, სადაც „სკუადრა აძურა“ საერთოდ ვერ მოხვდა, ჩვენ კი ელიტური სექსტეტი დავხურეთ.

ჩრდილო ნახევარსფეროს ძალთა იერარქია: 1. საფრანგეთი. 2. ირლანდია. 3. ინგლისი. 4. შოტლანდია. 5. უელსი. 6. საქართველო.

შეგახსენებთ, რომ ამ თვეში აღსანიშნავი ფაქტი მოხდა – უკვე ნახსენებ სესიაში ევროპელებმა სამხრეთელებს მძიმე მარცხი აგემეს (ირლანდიამ და საფრანგეთმა – ახალ ზელანდიას, ხოლო ინგლისმა – სამხრეთ აფრიკას).



მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი...

შურა მაისურაძის უკვდავება



საჭიდაო სამყარო უდიდესი მწუხარებით ეთხოვება ფალავანთა საძმოს ღირსეულ წევრს, საუკუნეს მიტანებულ ჭეშმარიტად დამსახურებულ სახალხო მწვრთნელს შურა მაისურაძეს, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, მთელი ეპოქა შექმნა როგორც ხალიჩაზე, ისე სპორტულ სარბიელს მიღმა.

სახელოვანი დინასტიის კოლორიტულ წარმომადგენელს მისი ღვაწლის მარადიულად წარმოსაჩენად მხოლოდ ჯერჯერობით ერთადერთი რაჭველი ოლიმპიური ჩემპიონის დავით გობეჯიშვილის აღმოჩენაც ეყოფა, რომელიც მთიან მხარეში საკულტო სახეობის ანაბანას მშობლიურ ონში აზიარა და გასაშალაშინებლად ასპარეზის რაინდს – გურამ საღარაძეს გადაულოცა, მაგრამ არც მთლად მასეა საქმე...

დიახ, ფიზიკური აღნაგობით ეს ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული ათლეტი მოწიფულ ასაკამდე ინარჩუნებდა ჯანისა და სულის სიმრთელეს და არაერთხელ დაბრუნდა ვეტერანთა შორის გამართული უმაღლესი რანგის ფორუმებიდან თუ საერთაშორისო ტურნირებიდან ოქროს მედლებით.

ამიტომაც გვწამდა, რომ მალე დღეგრძელობის გვირგვინს – 100 წლის იუბილეს მივულოცავდით, მაგრამ რამდენიმე კვირის წინათ საფიცარი ვაჟიშვილის მოულოდნელად დაკარგვამ თვით ეს გასალკლდეებული მამულიშვილიც კი წაგვიქცია – კოვიდვირუსისგან ასაცრელად მისულს გული გაუჩერდა...

ამაგდარ პროფესიონალს მართალთა განსასვენებელ საუფლოში საგზლად აღზრდილ თაობათა და მადლიერი შთამომავლობის სიყვარული და ცრემლი მიჰყვება. ნათელი და სანთელი, მთის კაცო!..

გია პლატონიშვილი.

◎ კარატე

მზეჭაბუკის „ბრინჯაო“



სერბეთის ქალაქ ზრენიანინში გაიმართა 28-ე მსოფლიოს ჩემპიონატი შოტოკან კარატეში, რომელშიც საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის გუნდიც მონაწილეობდა. 30 ქვეყნის 3000-ზე მეტ სპორტსმენს შორის მზეჭაბუკ მახარაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ინდივიდუალურ კუმიტეში +80 კგ წონით კატეგორიაში. ტურნირის ორგანიზატორი იყო გაერთიანებული ერების შოტოკან კარატეს მსოფლიოს ფედერაცია (SKDUN).

ამავე ფედერაციის მიერ ორგანიზებულ 2003 წლის ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატზეც მახარაძემ წარმატებით იასპარეზა და მაშინაც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა., ხოლო 2015 წელს ტოკიოში გამართულ ფორუმზე ინდივიდუალურ **კატაში** ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მზეჭაბუკი არის მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ასევე არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და წარმატებული ინსტრუქტორი, შავი ქამრის V დანის მფლობელი, საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი. საერთაშორისო ტურნირებში ის 2000 წლიდან რეგულარულად ასპარეზობს და მოხვეჭილი აქვს ყველა სინჯის 100-მდე მედალი.

◎ თაობა

ხალიჩაზეც, სტადიონზეც...

ჯერჯერობით 16 წლის ნიკა ნაკაიძეს პირად მიღწევად ქობულეთში გამართული თანატოლთა ტურნირის ფინალში გასვლა მიაჩნია, მაგრამ საყვარელი სახეობისადმი მისი ტრფიალი და სავარჯიშო პროცესისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ მთავარი წარმატებების დროც მალე მოვა.

სიმბოლურია, რომ ზემოდასახელებული საბრძოლო ნათლობა აჭარას უკავშირდება, რადგან პატარა ბავშვი იყო, როცა მათი ოჯახი ხულოს რაიონის სოფელ მეკეიძეებიდან სამცხე-ჯავახეთში გადასახლდა.

მეზობელთა გავლენით სწორედ სპასოვკაში დააჭაშნიკა ხალიჩა და თავისუფალ ჭიდაობაში **ავთო ვანაძესთან** შეუდგა დაოსტატებას, ამ დღეებში კი მეორე გატაცებისთვისაც აპირებს დროის გამონახვას და მომავალში ფეხბურთის ფედერაციის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყავის ბურთისათვის სერიოზული ყურადღების დათმობას. უნივერსალური ჭაბუკი, პანდემიის შესაბამისად, ონლაინ-გაკვეთილებით განაგრძობს განათლების მიღებას, 9-იანებით ახარებს ინდმეწარმე მშობლებს და გვიმხელს, რომ მისი დაიკო სპორტით ჯერ არ მოწამლულა, მისაბაძ მაგალითებად კი გენო პეტრიაშვილს, ავთანდილ კენჭაძესა და ხვიჩა კვარაცხელიას გვისახელებს.

იტალიაში მცხოვრებ ქართველებს ახალი გზამკვლევი აქვთ!

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით, იტალიაში, ქალაქ რომში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის იტალიის მიგრაციის კანონმდებლობის განახლებული გზამკვლევის პრეზენტაცია გაიმართა, – ამის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ზემოაღნიშნული გზამკვლევი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროგრამა ENIGMA 2-ის ფარგლებში, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრმა (ICMPD) იტალიის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის შეადგინა. გზამკვლევები ასევე შექმნილია ესპანეთში და საბერძნეთში მცხოვრები ქართული დიასპორისთვის.

პრეზენტაცია დამსწრე საზოგადოებას გააცნეს 2018-2019 წლის და 2020-2021 წლის პროგრამის – „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ გამარჯვებულებმა: ნენო გაბელიამ და მარიამ ბოჭორიშვილმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ კონსტანტინიდი, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ბექა ოდიშარია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რუსლან აბაშიძე და ICMPD-ის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე, ასევე, განხილული იყო საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები. ორმაგი მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით სერვისების განვითარების სააგენტოს, მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის უფროსმა ეკატერინე ოდიშარიამ ისაუბრა.

ამასთან, შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდა სამინისტროს მიერ განხორციელებული საგრანტო პროგრამების – „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“, „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“, „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ შესახებ.

ქართული ღვინის წარდგენა გერმანიაში

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გერმანიაში ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა, – ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ერონული სააგენტო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, გერმანიის ქალაქ კიოლნში გამართული ქართული ღვინის დეგუსტაცია ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის - „ff.k Public Relations“ მიერ იყო ორგანიზებული და მას გერმანიის სომელიეთა ასოციაციის წარმომადგენლები უძღვებოდნენ. ქართული ღვინის ცნობადობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით გამართულ ღონისძიებას ადგილობრივი სასტუმროების, რესტორნებისა და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლები დაესწრნენ.

დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 20 კომპანიის, როგორც ქვევრის, ისე კლასიკური ტექნოლოგიით დამზადებული ღვინოები.

გერმანულ კომპანიასთან „ff.k Public Relations“ ღვინის ეროვნული სააგენტო 2021 წლიდან თანამშრომლობს. გერმანია ევროპაში ღვინის უდიდესი იმპორტიორი ქვეყანაა, რომელიც ქართული ღვინის სტრატეგიული ბაზრების ჩამონათვალს 2020 წლიდან დაემატა. მიმდინარე წლის 10 თვის მონაცემებით, საქართველოდან გერმანიაში ექსპორტირებულია 655 ათასი ბოთლი; ზრდამ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 6% შეადგინა.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VIII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

თეიმურაზ ებრალიძე ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა მათი გარდაცვლილი ვაჟის ზაზა ებრალიძის უპირველესი მეგობარი, სამეგობროს თავკაცი და სიხარული, გურიის მეხოტბე, უზადო იუმორით დაჯილდოებული, გეოფიზიკის დარგში მოღვაწე, უსაყვარლესი

მინდია ბიძინას ძე ფირცხალაიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ დედას ია ჭყონიას, მეუღლეს ქეთევან კუპრეიშვილს, შვილებს იას, ბიძინას და ბაიას, ძმებს ირაკლის და კახას.
ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

თენგიზ, ქეთინო, ქეთი ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ ზურაბ, კახა, ზანდა მსხვილიძეებს მეუღლისა და დედის, ღირსეული ქალბატონის

ციცო ვაჟას ასული ჩაფიჩაძე-მსხვილიძის

გარდაცვალების გამო.

რესტორნების შემდეგ სასტუმროები და ზამთრის კურორტები ამოისუნთქავენ!

რესტორნებისთვის საათობრივი შეზღუდვების გაუქმებამ ზამთრის ტურისტული სეზონის გადარჩენის იმედი გააჩინა. **უშუალოდ სეზონის გახსნამდე 2-3 კვირით ადრე მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ არის – ქვეყანაში ვირუსის მეხუთე ტალღაა, ზოგიერთი რეგულაცია ჯერ კიდევ მოქმედებს და ვაქცინაციის ტემპიც დაბალია. თუმცა, სასტუმროებისთვის არის სიახლე, რაც თეთრი ტურიზმის ჩიხიდან გამოყვანის შესაძლებლობას იძლევა.**

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე **მარიამ ქვრივიშვილი** და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მედეა ჯანიაშვილი** ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ღონისძიების ერთ-ერთმა მონაწილემ, „ინ გრუპის“ ქსელის მმართველი კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა **ერეკლე კოკაიამ** აღნიშნა, რომ შეხვედრაზე საკუთარი მოთხოვნები დააყენეს, მათ შორის, რესტორნებისთვის დარჩენილი რეგულაციების მოხსნა: ერთ-ერთი ასეთი რეგულაცია ახალ წელს სასტუმროში გარე სტუმრების მიღების აკრძალვას ეხება. კოკაია ადასტურებს, რომ მიიღეს დაპირება, ამ საკითხზე ახალ წლამდე პასუხი ექნებათ.

მისივე თქმით, შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს „მწვანე პასპორტის“ მუშაობის ნაწილზე, რომელიც, დღეს შეფერხებით მუშაობს. „მწვანე პასპორტების“ სისტემა ქვეყანაში პირველი დეკემბრიდან უნდა ამოქმედდეს. ეს ნიშნავს, რომ სასტუმროებში, რესტორნებში, კინოთეატრებში შესვლას პირები მხოლოდ ამ დოკუმენტით შეძლებენ: მწვანე პასპორტი მოიცავს ინფორმაციას, გადატანილი აქვს თუ არა მის მფლობელს კორონა, როდის და რითია აცრილი და ა.შ. სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებლის **შალვა ალავერდაშვილის** აზრით კი, რესტორნებისთვის სამუშაო საათებზე დაწესებული შეზღუდვის მოხსნა მისაღები და სწორი გადაწყვეტილებაა. იგი სასტუმრობისთვის გაწერილ სიახლეზეც საუბრობს

„რამდენიმე შეხვედრა გვქონდა ეკონომიკის სამინისტროსთან, ომბუდსმენთან და შრომის ინსპექციასთან. „მწვანე პასპორტის“ შემოტანასთან ერთად გვინდოდა, ჩვენც მიგვეღო სარგებელი. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ახალი წლის პერიოდის დაგეგმარება, რაზეც თანხმობა მივიღეთ. სასტუმრო და მისი სტუმრები თუ „მწვანე სტატუსით“ სარგებლობენ, სასტუმროს შეუძლია სტუმრებისთვის საახალწლო ღონისძიებები ჩაატაროს და დროის შეზღუდვა არ იქნება, რაც ჩვენთვის ძალიან კარგია. ჩემი აზრით, რაც უფრო მეტი აცრილი იქნება ქვეყანაში, მით უფრო მეტი სტუმარი გვეყოლება, ამიტომ ეს არის ძირითადი და მთავარი“, – განაცხადა ალავერდაშვილმა. ზამთრის სეზონზე დასვენების მსურველები უკვე გამოჩნდნენ, მათ თავიდან ჯავშნები გააკეთეს, თუმცა სასტუმროს წარმომადგენლები შიშობენ, რომ „მწვანე პასპორტის“ ამოქმედება, გარკვეულწილად, მაინც შემაფერხებელი ფაქტორი იქნება.

ბექა დანელია

ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲜᲘᲥᲝᲖᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი სოფელ ნიქოზს ეწვია და, გორის მუნიციპალიტეტის მერთან, ვლადიმერ ხინჩეგაშვილთან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან გიორგი სოსიაშვილთან და სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით აღმოჩენილი სამარხი მოინახულა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტის „არქეოლოგია ახალგაზრდებთან ერთად საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს“ ფარგლებში, სოფელ ქვემო ნიქოზში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები ძალზედ ნაყოფიერი გამოდგა. ქვემო ნიქოზის მკვიდრის, ბადრი დევიძის საკარმიდამო ნაკვეთში აღმოჩენილია ბრინჯაოს ბრტყელი ცული, ბრინჯაოს და რკინის წინდები და ლითონსადნობი ქურის ნიშნები. ასევე, გამოვლინდა პრეისტორიული პერიოდის ნიმუშები, კერძოდ მტკვარ-არაქსის მასალები (დაახლოებით ჩვ. წ. აღ-მდე მესამე ათასწლეულის) და რაც ყველაზე საყურადღებოა, აღმოჩნდა სამარხი მიცვალებულის ნაშთებით. არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში ჩართული იყვნენ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, არქეოლოგი გოგი მინდიაშვილი, ასევე დოქტორანტი ირაკლი სოზიაშვილი და ისტორიკოსი სოსო ალიმბარაშვილი.

ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲐᲒᲔᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲡ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს დელეგაციის წევრებმა იტალიის რესპუბლიკაში მოღვაწე პირველი ქართველი დიპლომატისა და მხატვრის გიორგი აფხაზის ახალაღმოჩენილი საფლავი მოინახულეს და პატივი მიაგეს ქართველი დიპლომატის ხსოვნას. დელეგაციის შემადგენლობაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვლადიმერ კონსტანტინიდი, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რუსლან აბაშიძე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან.

გიორგი აფხაზის საფლავი იტალიაში საქართველოს საელჩოს ჩართულობითა და ინიციატივით განახლდა. საფლავი ქართველი ისტორიკოსის, გიორგი კალანდიასა და 2018-2019 წლის პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ და საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ გამარჯვებულის **ნენო გაბელიას** ძალისხმევითაა მოძიებული. ახალაღმოჩენილი საფლავი რომის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამრევლოს წინამძღვარმა, მამა იოანემ, იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულიფლებიანმა ელჩმა კონსტანტინე სურგულაძემ და დიასპორის წარმომადგენლებმა მოინახულეს. ამასთან, 26 ნოემბერს რომში გაიმართა გიორგი აფხაზის ფერწერული ნამუშევრების, გრაფიკისა და სასცენო ილუსტრაციების გამოფენა. ღონისძიება, რომელიც იტალიაში მცხოვრები ქართველი მკვლევარის ნენო გაბელიას მიერ იყო ორგანიზებული, მუსიკალურად გაფორმა პოლიფონიურმა გუნდმა „Coro Polifonico Musica Cretor“-მა, ლაურა გოგიაშვილის დირიჟორობით.

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲨᲝᲑᲘᲡ – „ᲤᲘᲚᲘᲞᲔᲡ“ ᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ



28 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ 6 იანვრის ჩათვლით საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იწყებს ქრისტესშობის მარხვას, ამასთანავე შობის მარხვის დღეები თევზით არის ხსნილი (ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა) 2022 წლის 3 იანვრამდე.

ქრისტესშობის მარხვის შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება მეათე საუკუნის კრების საეკლესიო ოქმებში.

რაც შეეხება მოციქულ ფილიპეს, ის დიდად განსწავლული იყო წმინდა წერილში, მას სწორად ესმოდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა არსი და მესიის მოლოდინით ცხოვრობდა. მოციქული ფილიპე პირველი გაჰყვა მაცხოვარს როცა მან მოუწოდა ამის შესახებ...

საგულისხმოა ისიც, რომ იესო ქრისტეს აღდგომისა და მისი ამაღლების შემდეგ მოციქული ფილიპე გალილეაში ქადაგებდა ღვთის სიტყვას და მას სასწაულები თან ახლდა.

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ „ᲞᲠᲝᲛᲔᲗᲔᲕᲖᲔ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პირველი არხის თანამონაწილეობით შექმნილი ფილმები თბილისის 22-ე საერთაშორისო კინოფესტივალზეა წარდგენილი. ორი სრულმეტრაჟიანი და ცხრა მოკლემეტრაჟიანი ფილმი ფესტივალ „პრომეთეს“ ქართულ პანორამაში მოხვდა.

ᲡᲠᲣᲚᲛᲔᲢᲠᲐᲟᲘᲐᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ:

„გვიანი შემოდგომა“ – რეჟისორი: გია ბარაბაძე;
„ბრაიტონი“ – რეჟისორი: ლევან კოღუაშვილი.

შეგახსენებთ, რომ პირველი არხის თანაპროდიუსერობით შექმნილი ლევან კოღუაშვილის ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“, რომელსაც ტრაიბეკას ფესტივალზე უკვე მიღებული აქვს სამი ჯილდო, „ოსკარზე“ წარსადგენად არის შერჩეული.

ᲛᲝᲙᲚᲔᲛᲔᲢᲠᲐᲟᲘᲐᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ:

1. „ფუტკრის დაცემა“ – რეჟისორი: ვაჟა ჩაჩხიანი;
2. „გუშაგები“- რეჟისორი: სანდრო სულაძე;
3. „პაპანაქება“ – რეჟისორი: თორნიკე გოგრიჭიანი;
4. „ნომერი 26“ – რეჟისორი: გვანცა მეფარიშვილი;
5. „მეზობელი“ – რეჟისორი: დავით ბორჩხიძე;
6. „აუზი“ – რეჟისორი: სალომე ლაცაბიძე;
7. „სასტუმრო მირაჟი“ – რეჟისორი: გურამ ბაქრაძე;
8. „შავი ზღვა“ – რეჟისორები: თინათინ ემირიძე, ხვიჩა ემირიძე;
9. „თანაგრძნობა“ – რეჟისორი: ზვიად ციკოლია.

მოკლემეტრაჟიანი პროექტები საქართველოს ეროვნული კინოცენტრის 2019 წლის კონკურსის გამარჯვებული ფილმებია და კინოცენტრისა და პირველი არხის თანადაფინანსებით შეიქმნა. რაც შეეხება მოკლემეტრაჟიან ფილმებს „სასტუმრო მირაჟი“ და „შავი ზღვა“ საზოგადოებრივი მაუწყებლისა და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის „დებიუტი“ ფარგლებშია გადაღებული. თბილისის მე-20 საერთაშორისო კინოფესტივალზე საქართველოს პირველმა არხმა საუკეთესო დოკუმენტური და საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის ჯილდო 20-20 ათასი ლარი გამოყო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
ე. ბაღდავაძის №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲜᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

THE GUARDIAN ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲝ�პᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ გამოცემა The Guardian საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ სტატიას აქვეყნებს.

ბრიტანელმა ჟურნალისტმა ნადია ბერდმა და ფოტოგრაფმა ტომერ იფრამ საქართველოში სამი თვის წინ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით იმოგზაურეს. პრესტურის შემდეგ კი ჟურნალისტებმა საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ ვრცელი სტატია ფოტორეპორტაჟთან ერთად მოამზადეს.

The Guardian-ის ჟურნალისტი მკითხველს სტატიაში სახელწოდებით „ტურიზმი ომალოსა და საქართველოს მიტოვებისგან იხსნის“ თუშეთში მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებს, აღწერს თუშეთის სოფლებს, ხალხს, ადგილობრივთა ცხოვრებასა და წესჩვეულებას. სტატიაში ადგილობრივები თუშეთში როგორც ტურიზმის მნიშვნელობაზე, ასევე ეკოლოგიის დაცვაზე საუბრობენ.

„პატარა რომ ვიყავი, ომალოში ამდენი სახლი არ იყო“, – ამბობს 27 წლის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი ქეთი თავბერიძე, რომელიც ომალოში ყოველ ზაფხულს ისვენებს.

„ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ტურისტები აქ ამოდიან. ეს კარგი შანსია, გაესაუბრო უცხოელებს, ტურისტების აქ ჩამოსვლით ისინი ადგილობრივებს სამუშაოს უქმნიან. ჩვენი ბუნება ველური და ხელშეუხებელია და მინდა, უცვლელი დარჩეს“, – აცხადებს ქეთი თავბერიძე The Guardian-ის ჟურნალისტთან ინტერვიუში.

„ამჟამად ბავშვების აღზრდით ვარ დაკავებული, თუმცა ჩემი სურვილია, თუშეთში საკუთარი საოჯახო სასტუმრო მქონდეს და ტურისტები მივიღო“, – აცხადებს ნინო კითიძე, რომელიც წელიწადის რამდენიმე თვეს თუშეთსა და ახმეტაში ატარებს.

„ნინო 18 წლის ასაკში ძიძად მუშაობდა, მაღაზიაში თანაშემწედ, ახლა კი ფიქრობს, რომ ტურისტული ბუმი კარგ შესაძლებლობას მისცემს ამ სფეროში ძალები მოსინჯოს“, – წერს ჟურნალისტი ნადია ბერდი. ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲡᲠ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.0967; ᲔᲕᲠᲝ - 3.4931;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.1233;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.1048; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.2555;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8201;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.3875.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 29 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +2, ᲓᲦᲔ +20
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ -1, ᲓᲦᲔ +18
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +10, ᲓᲦᲔ +25
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +5, ᲓᲦᲔ +22
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +8, ᲓᲦᲔ +18

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge